

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა



**დაინტერესებული პირების თეორია და კორპორაციის სოციალური
პასუხისმგებლობა თანამედროვე კორპორაციულ მართვაში**

ავტორი:

ნიკიტა დანკო

ხელმძღვანელი:

გიორგი მახაროზლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

თბილისი

2022

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
I. კორპორაციული მართვის არსი	6
1.1. კორპორაციის მართვა: თეორიული საფუძვლები	6
1.2. კორპორაციის „კლასიკური“ მიზანი: აქციონერების თეორია.....	9
II. დაინტერესებული პირების (სტეიკჰოლდერების) თეორია.....	13
2.1. სტეიკჰოლდერების თეორიის არსი.....	13
2.2. სტეიკჰოლდერების კლასიფიკაცია	22
2.3. სტეიკჰოლდერების თეორია პრაქტიკაში	25
2.4. კოდეტერმინაცია სტეიკჰოლდერების თეორიის გადმოსახედიდან.....	28
III. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა	31
3.1. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის არსი.....	31
3.2. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის	39
ძირითადი მიმართულებები.....	39
3.3. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა პრაქტიკაში	42
დასკვნა.....	45
ბიბლიოგრაფია.....	48

შესავალი

კორპორაციული მართვა საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია. თანამედროვე სამყაროში კორპორაციების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეცნიერებასა და პრაქტიკაში განსაკუთრებით აქტუალურია კორპორაციული მართვის პრობლემები, კერძოდ, თუ როგორ უნდა ნაწილდებოდეს კორპორაციაში ძალაუფლება და რა როლი უნდა ჰქონდეს სამართალსა და არასამართლებრივ მექანიზმებს ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული პირების დაცვაში.¹

დოქტრინაში კორპორაციული მართვის ორ თეორიას გამოყოფენ: პირველი კორპორაციული მართვის ცენტრად აქციონერებს განიხილავს, ხოლო მეორე - სტეიკჰოლდერებს². აქციონერებისკენ მიმართული კორპორაციული მართვა ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც აქციონერთა მოგების (მათი სიმდიდრის) მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული, სტეიკჰოლდერების ინტერესებისკენ მიმართული კორპორაციული მართვა კი შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც მოიაზრებს კორპორაციის დირექტორთა ფიდუციური ვალდებულებების წრის გაფართოებას, ანუ მენეჯერების დავალდებულებას, მართვისას მხედველობაში მიიღონ არააქციონერ სუბიექტთა ინტერესებიც.

სტეიკჰოლდერების როლის ზრდა კორპორაციულ მართვაში ორი ფაქტობრივი გარემოებით არის განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე კორპორაციების რთული და ცვალებადი სტრუქტურა, ასევე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და, ზოგადად, თანამედროვე ცხოვრების ტემპი მოითხოვს მკაცრი კორპორაციული მართვის სისტემიდან დეცენტრალიზებული, უფრო ლიბერალური მართვის მოდელებზე გადასვლას, რომლებიც ცვლილებებზე მოქნილი და მყისიერი რეაგირების საშუალებას მისცემს კორპორაციას. ცვლილებები კი, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ სტეიკჰოლდერთაგან მომდინარეობს.

მეორე ფაქტორი, რომლის გამოც სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინება თანამედროვე კორპორაციული მართვის აქტუალური ელემენტია, არის ის, რომ სტეიკჰოლდერები აღარ განიხილებიან სამოქალაქო ბრუნვის პასიურ მონაწილეებად: ისინი ყოველთვის ცდილობენ, პირდაპირი თუ

¹ Pinto A.R., An Overview of United States Corporate Governance in Publicly Traded Corporations, American Journal of Comparative Law Supplement, No. 58, 2010, 257.

² სტეიკჰოლდერი - (ინგლ. stakeholder) დაინტერესებული მხარე, პირი, ორგანიზაცია.

არაპირდაპირი გავლენა მოახდინონ კორპორაციების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და გადაანაწილონ კორპორაციის რესურსები საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

პასუხი კითხვაზე, თუ ვის ინტერესებს ემსახურება კორპორაციული მართვა, ერთი შეხედვით, მარტივია: კორპორაციის საქმიანობა და, შესაბამისად, კორპორაციული მართვაც, უნდა იყოს მიმართული კორპორაციის აქციების მქონე პირებისკენ, ანუ ემსახურებოდეს აქციონერთა ქონებრივ კეთილდღეობას. თუმცა, თანამედროვე კორპორაციის ვალდებულებათა პარადიგმა კორპორაციის მიზანს გაცილებით უფრო ფართო შინაარსს ანიჭებს და, აქედან გამომდინარე, კორპორაციის მართვაზე უფლებამოსილი პირების ანგარიშვალდებულებას განსხვავებულად უყურებს.

კორპორაციული მართვის არსი ინტერესების მართვაა. აღიარებულია, რომ ნებისმიერი კორპორაციის ირგვლივ მრავალი მხარის, ე.ი. სტეიკჰოლდერების ინტერესებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს კორპორაციის წარმატებულობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში სადავო აღარაა ის, რომ ბიზნესის წარმატებული მართვისათვის, მენეჯერებისა და დირექტორთა ბორდისთვის აუცილებელია სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებაც, მაგრამ დებატების საგანია ის, უნდა ჰქონდეს თუ არა რომელიმე ინტერესთა ჯგუფს (გარდა უშუალოდ აქციონერებისა) ფორმალური ადგილი კორპორაციული მართვის სისტემაში.³

სწორედ სტეიკჰოლდერების თეორიით შთაგონებულია თანამედროვე სამყაროში კორპორაციებისთვის სოციალური ვალდებულებების დაკისრების პროცესები. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის იდეა სწორედ სტეიკჰოლდერების თეორიიდან გამომდინარეობს და ახლებურად აყალიბებს როგორც კორპორაციის მიზანს, ისე მისი მართვის სისტემასა და მმართველების (ხელმძღვანელების) ვალდებულებებს. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიის მიხედვით, კორპორაცია პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია არა მარტო სამართლისა და აქციონერების, არამედ მთლიანი საზოგადოების წინაშეც. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის იდეა კი ფართო კორპორაციული მართვის მოდელს მოიცავს,

³ Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, University of Pennsylvania Journal of Business Law, No. 18, 2016, 366.

რომელიც აღიარებს კორპორაციის მმართველ პირთა ფიდუციურ ვალდებულებას როგორც აქციონერების, ისე კომპანიის ყველა დაინტერესებული პირის მიმართ.⁴

წინამდებარე ნაშრომის მიზანია კაპიტალური ტიპის სამეწარმეო საზოგადოების მიზნის კვლევა და მასთან დაკავშირებული, აქტუალური კონცეფციების ანალიზი, სტეიკჰოლდერებზე ორიენტირებული კორპორაციული მართვის დახასიათება და მისი შემადგენელი ელემენტების წარმოჩენა, სტეიკჰოლდერების თეორიიდან გამომდინარე კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტების მიმოხილვა, ამასთან, სტეიკჰოლდერების თეორიისა და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკული გამოყენების მეთოდების ჩამოყალიბება, მათ შორის, ევროკავშირის სამართლის გათვალისწინებით.

ნაშრომში კვლევის სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული. სტეიკჰოლდერების თეორია და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა განხილულია ისტორიულ-სამართლებრივ და შედარებით-სამართლებრივ ჭრილში, რაც იძლევა აღნიშნული ურთიერთდაკავშირებული საკორპორაციო-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარების დინამიკისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას. ამასთან, გამოყენებულია ემპირიული და სამართლებრივ-ლოგიკური ანალიზის მეთოდები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველ თავში განხილულია თანამედროვე კაპიტალური ტიპის მეწარმე სუბიექტის კორპორაციული მართვის არსი, მისი ობიექტი და სუბიექტი, ასევე, კორპორაციული მართვის ფართოდ გავრცელებული თეორიული საფუძველი - აქციონერთა თეორია. მეორე თავში გაანალიზებულია საკითხი, თუ ვის ინტერესებს ემსახურება (უნდა ემსახურებოდეს) კორპორაციული მართვა. ამ მიზნით, შედარებულია აქციონერთა პრიმატისა და დაინტერესებული პირების („სტეიკჰოლდერების“) თეორიები და ყურადღება გამახვილებულია ამ უკანასკნელი თეორიის კონკრეტულ მიმართულებებზე. ამავე თავში განხილულია სტეიკჰოლდერების თეორიის პრაქტიკული გამოყენების საშუალებები, მათ შორის, საწარმოში დასაქმებულთა კოდეტერმინაცია. დაბოლოს, ნაშრომის მესამე თავი მოიცავს სტეიკჰოლდერების თეორიიდან გამომდინარე დოქტრინასა და პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის

⁴ მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, თბილისი, 2015, 327.

ძირითად ასპექტებს და იმ ტენდენციებს, რომელიც გამოიკვეთა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და ევროკავშირის სამართლის ანალიზის შედეგად.

I. კორპორაციული მართვის არსი

1.1. კორპორაციის მართვა: თეორიული საფუძვლები

საკორპორაციო სამართლის მთავარი მიზანია, პასუხი გასცეს, ერთი შეხედვით, უცნაურ და ისედაც ცხად, მაგრამ მაინც საკმაოდ კომპლექსურ შეკითხვას: რა არის კომპანია?⁵ მხოლოდ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ შესაძლებელია საუბარი იმაზე, თუ როგორ და ვის სასარგებლოდ უნდა იმართებოდეს კომპანია, ასევე ვის ხელში უნდა იყოს კომპანიაზე კონტროლი.⁶ აღნიშნული საკითხები თანამედროვე საკორპორაციო სამართალში განსაკუთრებით აქტუალურია და მეცნიერებაში, ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში, დასმულ შეკითხვებზე პასუხი არ არის ერთგვაროვანი.

კორპორაციული მართვა საკორპორაციო სამართლის ქვაკუთხეა. კორპორაციული მართვა განიმარტება, როგორც სისტემა, რომლის შესაბამისად მართავენ და აკონტროლებენ კომპანიებს.⁷ თანამედროვე ბიზნეს სამყაროში კომპანიის კონტროლის სისტემა, ბუნებრივია, უაღრესად კომპლექსურია და ამის გამო „რთულია საკორპორაციო სამართლიდან სხვა რომელიმე საკითხის დასახელება, რომელსაც მეცნიერ-იურისტთა და ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი დიდი ყურადღება ეპყრობოდა“⁸.

ბიზნეს კორპორაცია, თავისი არსით, ინსტრუმენტია, რომლითაც ხდება კაპიტალის მოზიდვა სიკეთეებისა და მომსახურების შექმნისა და გავრცელების, აგრეთვე შემდგომი ინვესტირების მიზნით და, ამის გათვალისწინებით, კორპორაციის დანიშნულებაა ამ ქმედებების განხორციელების შედეგად

⁵ Watson S., Corporate Law and Governance, New Zealand Law Review, No. 2, 2018, 275.

⁶ იქვე.

⁷ Pinto A.R., An Overview of United States Corporate Governance in Publicly Traded Corporations, American Journal of Comparative Law Supplement, No. 58, 2010, 257.

⁸ მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 54.

საკუთარი შემოსავლისა და, შესაბამისად, აქციონერების მოგების გაზრდა.⁹ ამ პერსპექტივიდან შესაძლებელია მარტივი დასკვნის გამოტანა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არიან კორპორაციული მართვის სუბიექტები: ესენია კაპიტალის მიმწოდებლები (აქციონერები და კრედიტორები) და ის, ვინც მართავს ამ კაპიტალს (კომპანიის ხელმძღვანელები).¹⁰

საკორპორაციო სამართლის განვითარებაში ფუძემდებლური როლი შეასრულა საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის დოქტრინამ, რომლის „დამფუძნებელი მამებია“ ადოლფ ა. ბერლი და გარდნერ მინსი. დოქტრინამ ერთმანეთისგან გამიჯნა აქციონერების საკუთრების უფლება საწარმოს წილზე (აქციებზე) და საწარმოს რეალური კონტროლი, რომელიც დირექტორების ხელშია. აქციონერი, დოქტრინის გათვალისწინებით, პირდაპირ კონტროლს საწარმოზე ვერ ახორციელებს, მაგრამ აქვს ლეგიტიმური მოლოდინი იმისა, რომ დირექტორები კომპანიას სწორედ მისი ინტერესების შესაბამისად მართავენ.

მიუხედავად დოქტრინის უდიდესი მნიშვნელობისა, თანამედროვე კორპორაციების შემთხვევაში ის სრულყოფილად ვერ მუშაობს, რის დასასაბუთებლადაც სამეცნიერო ლიტერატურაში ორი არგუმენტი მოაქვთ.¹¹ პირველი, აქციონერების დიდი რაოდენობის გამო, თითოეულ ცალკე აღებულ აქციონერს ვერ ექნება იმის გარანტია, რომ მისი ინტერესები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული კორპორაციულ მართვაში. მეორე, ბერლი ერთმანეთისგან, ფაქტობრივად, არ მიჯნავდა რისკის ტარებისა და მართვის ვალდებულებებს (ისევ და ისევ კომპანიის აქციონერთა მცირე რაოდენობის გამო), ხოლო თანამედროვე კორპორაციებში აქციონერი მხოლოდ რისკის მატარებელი სუბიექტია, მაშინ როდესაც მართვის უფლებამოსილება დირექტორების ხელშია.¹² ამის გათვალისწინებით, თანამედროვე კორპორაციული მართვის ამოცანაა, შექმნას ამ რისკების დაბალანსების კომპრომისული სისტემა.

კორპორაციულ მართვაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვას: ვის ინტერესებს ემსახურება (უნდა ემსახურებოდეს) კორპორაციული მართვა? პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია: კორპორაციის

⁹ Eisenberg M.A., An Overview of the Principles of Corporate Governance, Business Lawyer (ABA), Vol. 48, No. 4, August 1993, 1275.

¹⁰ Pinto A.R., An Overview of United States Corporate Governance in Publicly Traded Corporations, American Journal of Comparative Law Supplement, No. 58, 2010, 258.

¹¹ Hay T.H., The Shareholder's Role in Corporate Social Responsibility, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 5, No. 1, Fall 1971, 68-69.

¹² იქვე, 69.

საქმიანობა და, შესაბამისად, კორპორაციული მართვაც, უნდა იყოს მიმართული კორპორაციის აქციების მქონე პირებისკენ, ანუ ემსახურებოდეს აქციონერთა ქონებრივ კეთილდღეობას. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე, კორპორაციის ვალდებულებათა პარადიგმა კორპორაციის მიზანს გაცილებით უფრო ფართო შინაარსს ანიჭებს და, აქედან გამომდინარე, კორპორაციის მართვაზე უფლებამოსილი პირების ანგარიშვალდებულებას, უფრო ზუსტად კი, ანგარიშის გაწევის ვალდებულებას განსხვავებულად განმარტავს.

კორპორაციული მართვის არსი ინტერესების მართვაა. აღიარებულია, რომ ნებისმიერი კორპორაციის ირგვლივ მრავალი მხარის, ე.ი. „სტეიკჰოლდერების“ ინტერესებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს კორპორაციის ბიზნეს წარმატებულობაზე. არც აკადემიურ და არც პროფესიულ ბიზნეს ლიტერატურაში სადავო აღარაა ის, რომ ბიზნესის წარმატებული მართვისათვის მენეჯერებისა და დირექტორთა ბორდისთვის აუცილებელია (პირდაპირ ან არაპირდაპირ) სტეიკჰოლდერების ინტერესთა გათვალისწინებაც, მაგრამ მსჯელობის საგანია ის, უნდა თუ არა ჰქონდეს რომელიმე ინტერესთა ჯგუფს (გარდა უშუალოდ აქციონერებისა) ფორმალური ადგილი კორპორაციული მართვის სისტემაში.¹³

თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში კორპორაციული მართვის ორი დიდი თეორიული საფუძველი (ფორმა) არსებობს - აქციონერებისკენ და დაინტერესებული პირებისკენ („სტეიკჰოლდერებისკენ“) მიმართული კორპორაციული მართვა. აქციონერებისკენ მიმართული კორპორაციული მართვა (“shareholder theory”) კორპორაციის მიზნად აქციონერების მოგების მაქსიმიზაციას ასახელებს და ეფუძნება ე.წ. “shareholder value” დოქტრინას, რომლის მიხედვით, აქციონერები არიან კორპორაციის კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო და კომპანიის „მესაკუთრეებად“ მიიჩნევიან.¹⁴ დაინტერესებულ პირებზე (სტეიკჰოლდერებზე) ორიენტირებული კორპორაციული მართვის მოდელი (“stakeholder theory”) გულისხმობს კორპორაციის მართვას მთლიანი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, სოციუმისთვის სარგებლის მინიჭების მიზნით.¹⁵

ცხადია, რომ მართვის ზემოაღნიშნული ფორმები რეალურ სამყაროში აბსოლუტურად წმინდა სახით ვერ შეგვხვდება და თანამედროვე კორპორაციები

¹³ Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, University of Pennsylvania Journal of Business Law, Vol. 18, No. 2, 2016, 366.

¹⁴ მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 161-162.

¹⁵ იქვე, 162.

მართვაში ორივე თეორიის ელემენტებს იყენებს. ამასთან, ამ თეორიების შერეული გამოყენების აუცილებლობაში ვლინდება საკორპორაციო სამართლის დიდი პარადოქსი: აქციონერებზე ორიენტირებული და სტეიკჰოლდერებზე ორიენტირებული მართვის ელემენტები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის, მაგრამ ეს მოდელები იმდენად ანტითეზურია, რომ ერთის როლის ზრდა ყოველთვის იწვევს მეორის როლის შემცირებას.¹⁶ მიუხედავად კორპორაციული მართვის თეორიების ელემენტების კომბინირებული გამოყენების შესაძლებლობისა, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, თუ რა არის კორპორაციის არსებობისა და ფუნქციონირების მიზანი.

1.2. კორპორაციის „კლასიკური“ მიზანი: აქციონერების თეორია

საკორპორაციო სამართალსა და კორპორაციულ მართვაში აქციონერებს ყოველთვის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავათ. კორპორაციულ მართვაში აქციონერთა პრიმატი გამართლებული იყო იმ არგუმენტით, რომ ინვესტორს მხოლოდ მაშინ გაუჩნდებოდა საკუთარი კაპიტალის საწარმოში ინვესტირების სურვილი, როცა უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი (ინტერესების) დაცვის მყარი გარანტიები.¹⁷ აქციონერთა პრიმატის თეორია მიჩიგანის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1919 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Dodge v. Ford Motor Co.*, სადაც სასამართლომ დაასკვნა, რომ ბიზნეს კორპორაცია ორგანიზებულია და საქმიანობს, უპირატესად, აქციონერებისათვის მოგების გამომუშავების მიზნით.¹⁸ სწორედ ამ გადაწყვეტილებით ჩაეყარა საფუძველი აქციონერების ლეგიტიმურ მოთხოვნას, ეჭვქვეშ დააყენონ დირექტორთა მიერ ისეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რომლებიც სოციალური მიზნით არის მოტივირებული და არ არის მიმართული აქციონერების მოგების მაქსიმიზაციისკენ.¹⁹

¹⁶ “[...] these values are also antithetical, and more of one means less of other [...]”, Dooley M.P., *Two Models of Corporate Governance*, *Business Lawyer (ABA)*, Vol. 47, No. 2, 1991, 464.

¹⁷ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, *Business Lawyer*, Vol. 72, No. 3, 2017, 736.

¹⁸ იქვე, 736, 739.

¹⁹ იქვე, 739-740.

აქციონერთა პრიმატის თეორიის მიხედვით, ერთადერთი ჯგუფი, რომელსაც კორპორაციის საქმიანობის მიმართ ლეგიტიმური სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინტერესი შეიძლება გააჩნდეს, არიან აქციონერები, ვინაიდან სწორედ ისინი ირჩევენ დირექტორებს, რომლებიც მათი ქონებრივი ინტერესების გათვალისწინებისა და მოგების მაქსიმიზაციით მიზნის შესაბამისად იმოქმედებენ. ამ თეორიას რომ მივყვეთ, გამოდის, რომ კორპორაციის ცენტრი სწორედ დირექტორთა ბორდია, ანუ ორგანო, რომელიც რეალურ დროში იღებს ბიზნეს გადაწყვეტილებებს.

აქციონერთა პრიმატის (“shareholder primacy”) თეორია დირექტორთა ბორდის უმთავრეს ღირებულებად და მიზნად სწორედ აქციონერთა ინტერესების დაცვასა და მოგების მაქსიმიზაციას ასახელებს. აქციონერთა თეორიის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ თეორია გვთავაზობს დირექტორთა ანგარიშვალდებულების პრობლემის გადაწყვეტის მარტივ გზას და ამ ანგარიშვალდებულებას (ანგარიშის გაწევის ვალდებულებას) მხოლოდ აქციონერთა წინაშე აღიარებს. აქციონერთა პრიმატის თეორეტიკოსები დირექტორებს განიხილავენ, როგორც აქციონერების წარმომადგენლებს (“agents”).²⁰ თეორიის მიხედვით, კორპორაციას მხოლოდ მაშინ შესწევს ბიზნესის ეფექტურად წარმართვის უნარი, როცა მას მხოლოდ ერთი მიზანი (მოგების მაქსიმიზაცია) აქვს, ხოლო ერთზე მეტი მიზნის არსებობის შემთხვევაში, დირექტორების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ზედმეტად დაიტვირთება და გართულდება.²¹

მიუხედავად ამისა, აქციონერების პრივილეგირებული მდგომარეობის უზრუნველყოფა შეუძლებელი გახდა საჯარო კორპორაციების²² ფართო გავრცელებისთანავე, ვინაიდან გამოიკვეთა აქციონერების მიერ კორპორაციულ მართვაში მონაწილეობისა და დირექტორთა გადაწყვეტილებების მიღებაზე რეალური გავლენის მოხდენის შეუძლებლობის პრობლემა. 1932 წლის ცნობილ ნაშრომში²³, ადოლფ ა. ბერლიმ და გარდნერ მინსმა შენიშნეს კორპორაციის ფუნდამენტური სტრუქტურული გამოწვევა: აქციონერები ფულს აბანდებდნენ კორპორაციაში, რომლის ხელმძღვანელები არ იყვნენ ანგარიშვალდებულები

²⁰ Lehr A.K., *Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived*, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 93.

²¹ იქვე, 97.

²² კორპორაციები, რომელთა აქციები გატანილია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე.

²³ Berle A., Means G., „*The Modern Corporation and Private Property*“, 1932.

აქციონერების წინაშე.²⁴ პრობლემას ართულებდა ასევე ის ფაქტი, რომ ისტორიულად, კორპორაციები ამერიკაში იქმნებოდა წინასწარ განსაზღვრული სოციალური ფუნქციების შესასრულებლად, მაგრამ თანდათან მათ შეიძინეს კერძო გაერთიანებების შინაარსი, რომლებიც იმართება ძლიერი დირექტორთა ბორდის მიერ, ხოლო ბორდი, თავის მხრივ, აღჭურვილია ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით და მოქმედებს ერთადერთი მიზნით - რაც შეიძლება მეტად გაამდიდროს აქციონერები.²⁵

ყველაზე არსებითი პრობლემა, რომელიც ახასიათებს აქციონერთა თეორიას, არის ის, რომ თეორია აღარ შეესაბამება თანამედროვე გლობალურ სამყაროში მოქმედი მულტინაციონალური კორპორაციების საჭიროებებს.²⁶ მართალია, თეორიულად, კორპორაციის მართვა მხოლოდ აქციონერთა ინტერესების შესაბამისად ბევრად მარტივი შეიძლება იყოს, მაგრამ პრაქტიკულად, რეალურ დროში დირექტორებს მაინც უწევთ აქციონერთა გარდა, სხვა დაინტერესებული პირების მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინება.²⁷

საკითხავი ისიცაა, აქციონერთა პრიმატის გათვალისწინებით, აქვთ თუ არა აქციონერებს რეალური შესაძლებლობა, გააკონტროლონ დირექტორების მოქმედება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ისტორიულად აქციონერთა დერივაციული სარჩელები უფრო ხშირი იყო, ვიდრე საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში, ამ ეტაპზე განსაკუთრებით რთული გახდა დერივაციული სარჩელების დასაბუთება და სასამართლოები, უმრავლეს შემთხვევაში, იცავენ დირექტორების გადაწყვეტილებებს სამეწარმეო გადაწყვეტილების

²⁴ საკუთრებისა და კონტროლის გამიჯვნის თეორიიდან გამომდინარე, იხ. Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 89.

²⁵ Jackson K.V., Towards a Stakeholder–Shareholder Theory of Corporate Governance: a Comparative Analysis, *Hastings Business Law Journal*, Vol. 7, No. 2, 2011, 313.

²⁶ Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 95.

²⁷ იქვე, 97.

თავისუფლებაზე²⁸ მითითებით.²⁹ ხმის უფლების გამოყენებისა და დირექტორთა გათავისუფლების ხარჯების გათვალისწინებით, აქციონერთა 99 პროცენტისთვის საწარმოზე კონტროლის განხორციელება ზღაპრად რჩება.³⁰

კორპორაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უდიდესი გავლენა აქვს ე.წ. კორპორაციული კონტროლის ბაზარს, სადაც დირექტორები მაქსიმალურად ცდილობენ, შეინარჩუნონ აქციის მაღალი ღირებულება აგრესიული შეძენის (“takeover bids”) თავიდან ასაცილებლად და ასეთი კორპორაციული მართვის რეჟიმიდან გამომდინარე, დირექტორთა ბორდი ხშირად მიზნულია აქციების მოკლევადიან ღირებულებასა და მის კონტროლზე, რაც სხვა სტეიკჰოლდერების ინტერესების უგულვებელყოფის ხარჯზე ხდება.³¹ თუკი ადრე ინვესტორები მოქმედებდნენ ე.წ. „უოლ სტრიტის წესით“ და კომპანიის მენეჯმენტის მიერ მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უბრალოდ ყიდდნენ თავის აქციებს, თანამედროვე დიდი კორპორაციების აქციონერები უფრო მეტ აქტიურობას იჩენენ და ცდილობენ, გაყიდვის მაგივრად გავლენა მოახდინონ მენეჯერების გადაწყვეტილებებზე, აქციების ღირებულების გაზრდის მიზნით.³²

კორპორაციული მართვის (და კორპორაციული სამართლის) მიზანია კორპორაციის ბიზნეს-წარმატებულობის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამის საპირისპიროდ, აქციონერთა თეორიის მთავარ სუბიექტს წარმოადგენს ინვესტორი (აქციონერი), რომელსაც სურს მაქსიმალურად მაღალი

²⁸ სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება („სამეწარმეო განსჯის წესი“ - “Business Judgement Rule”) – „პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც დირექტორები იყვნენ ინფორმირებულნი ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების დროს, მოქმედებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით და გონივრულად სწამდათ, რომ მათი ეს მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა“, იხ.: მაისურაძე დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამართლის მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 119 და შემდგომი, ხელმისაწვდომია: <https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/sakorporacio-krebuli-1.pdf> [15.06.2022], შეად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

²⁹ Lehr A.K., *Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived*, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 98.

³⁰ Weng C.X., *Inside or Outside the Corporate Law Box? Shareholder Primacy and Corporate Social Responsibility in China*, *European Business Organization Law Review*, No. 18, 2017, 155, 160; in *Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived*, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 98.

³¹ Jackson K.V., *Towards a Stakeholder–Shareholder Theory of Corporate Governance: a Comparative Analysis*, *Hastings Business Law Journal*, Vol. 7, No. 2, 2011, 310.

³² Pinto A.R., *An Overview of United States Corporate Governance in Publicly Traded Corporations*, *American Journal of Comparative Law Supplement*, No. 58, 2010, 260-261.

მოგების მიღება მინიმალურ დროში: სულ უფრო და უფრო ნაკლები ინვესტორი ირჩევს გრძელვადიანი კაპიტალდაბანდების გზას და მეტად ორიენტირებულია მოკლევადიანი მოგების მიღებაზე. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოკლე- და გრძელვადიან ინვესტორებს სხვადასხვა ინტერესები და მიზნები ამძრავებთ, რის გამოც, აქციონერთა ინტერესებთან შესაბამისობის კუთხით დირექტორთა გადაწყვეტილებების შეფასება სასამართლოს მიერ სწორედ ამ დიფერენციაციის მიხედვით უნდა მოხდეს.³³ ამდენად, განსხვავებული ინტერესთა ჯგუფები თავად აქციონერების ჯგუფის შიგნით იკვეთება და თვით აქციონერებს შორის არსებობს განსხვავებული მიდგომების გამოყენების საჭიროება.

II. დაინტერესებული პირების (სტეიკჰოლდერების) თეორია

2.1. სტეიკჰოლდერების თეორიის არსი

ანგლო-ამერიკულ სამართალში, კორპორაციის სამართლებრივი ფორმის და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლის - შეზღუდული პასუხისმგებლობის - აღიარება უკავშირდება კორპორაციის საზოგადოებრივი სარგებლიანობის იდეას: ინგლისურ პრეცედენტებში ერთმანეთისგან მიჯნავდნენ კიდევაც საწარმოებს, რომელთა საქმიანობა საყოველთაო საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახურებოდა და საწარმოებს, რომელთა მიზანი მხოლოდ კერძო პირთა მიერ ეკონომიკური მოგების მიღება იყო, და ამ გამიჯვნის საფუძველზე კორპორაციულ პიროვნულობას, ანუ სამართალსუბიექტობას მხოლოდ პირველს ანიჭებდნენ.³⁴

კორპორაციის მიზანთან დაკავშირებული მსჯელობა არასდროს იყო ერთგვაროვანი. საწყის ეტაპზე, კორპორაციის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებისათვის სასარგებლო ამოცანების შესრულება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კორპორაციებს აფუძნებდა სახელმწიფო, კაპიტალის მოზიდვის შედეგად საზოგადოებისათვის ძირითადი

³³ Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 99.

³⁴ Bebchuk L.A., Tallarita R., The Illusory Promise of Stakeholder Governance, *Cornell Law Review*, Vol. 106, No. 91, 2020, 103.

ინფრასტრუქტურის აშენების მიზნით, და მათი დაფუძნება საკმაოდ რთულ პროცედურას წარმოადგენდა.³⁵ მოგვიანებით, როცა კორპორაციების დაფუძნება გამარტივდა, სახელმწიფოები უკვე ზოგადი (სტანდარტული) წესდებების შემუშავებით ცდილობდნენ გამოერიცხათ კორპორაციის მიერ საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.³⁶

სტეიკჰოლდერების თეორია აერთიანებს დასაქმებულების მიერ შექმნილ ადამიანურ კაპიტალს, აქციონერთა მიერ შექმნილ სააქციო კაპიტალს, კრედიტორების საკრედიტო კაპიტალს და ეს სამი გაერთიანებული ფაქტორი ქმნის თეორიას, რომელიც ხელს უწყობს კორპორაციის მიერ სიკეთეების შექმნას და მის ბიზნეს-მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.³⁷

სტეიკჰოლდერების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია პროფესორი ი. მერიკ დოდი, რომელიც ჯერ კიდევ 1932 წელს ამტკიცებდა, რომ კორპორაცია აღარ წარმოადგენდა მხოლოდ აქციონერთათვის მოგების გენერირების ეკონომიკურ მექანიზმს, არამედ ის იყო მნიშვნელოვანი სოციალური ორგანიზაცია, რომელსაც საერთო ინტერესები ჰქონდა მრავალ ინტერესთა ჯგუფთან, როგორცაა დასაქმებულები, მომხმარებლები და, ზოგადად, საზოგადოება.³⁸ ამასთან, პროფესორ დოდის იმჟამინდელი გაგება რამდენიმე ხარვეზიან პოსტულატსაც შეიცავდა და ეწინააღმდეგებოდა საკუთრების უფლების (და მისი ეკონომიკური ელემენტების) არსს: მისი მტკიცებით, კორპორაციაში ინვესტირებული თანხის მიმართ აქციონერს, დროთა განმავლობაში, სულ უფრო და უფრო ეკარგებოდა ინტერესი, რის გამოც არ არსებობდა მისი მომეტებული დაცვის საჭიროება და მისი ინტერესი იმავე ხარისხით იყო დასაცავი და გასათვალისწინებელი, რა ხარისხითაც სხვა სტეიკჰოლდერების ინტერესები.³⁹

კორპორაციულ მართვაში არააქციონერ სტეიკჰოლდერთა ფორმალური როლის აღიარების იდეას ხშირად „სტეიკჰოლდერთა დემოკრატია“ უწოდებენ.⁴⁰ ფირმის თანამედროვე თეორია აღიარებს, რომ ფირმასთან დაკავშირებული

³⁵ Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019, 88.

³⁶ იქვე.

³⁷ Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, *Legal Issues Journal*, Vol. 4, No. 1., January 2016, 77.

³⁸ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, *Business Lawyer*, Vol. 72, No. 3, 2017, 735.

³⁹ იქვე, 745.

⁴⁰ Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, *University of Pennsylvania Journal of Business Law*, Vol. 18, No. 2, 2016, 367.

ნებისმიერი რესურსის მესაკუთრე (ე.ი. სტეიკჰოლდერი) ატარებს არაანაზღაურებადი დანაკარგების რისკს, რის გამოც, იმსახურებს ფირმის მართვაში მონაწილეობას.⁴¹

ბიზნესი, ისევე როგორც სხვა სოციალური კონსტრუქციები, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში, მაგრამ ის არასდროს არაა (და ვერც იქნება) აბსოლუტურად თავისუფალი და მას ვერ ექნება შესაძლებლობა, იმოქმედოს როგორც დამოუკიდებელმა, საზოგადოებისგან სრულად იზოლირებულმა სუბიექტმა: ნებისმიერი სოციალური ყოველთვის იყენებს ბიზნესზე სოციალური კონტროლის განხორციელების მექანიზმებს, როგორცაა, მაგალითად, სამართალი, ეკონომიკური სანქციები, მორალური ზეწოლა და სხვა.⁴²

სტეიკჰოლდერების თეორიის შესწავლის ობიექტია საწარმოს მიერ სიკეთეების შექმნისა და ვაჭრობის, ბიზნესის ეფექტური მართვის საკითხები.⁴³ თეორიის მიზანია, პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ ვის შეაქვს (უნდა შეჰქონდეს) წვლილი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში და ვინ უნდა იღებდეს სარგებელს ამ გადაწყვეტილებების შედეგებიდან.⁴⁴

სტეიკჰოლდერების თეორია განსხვავებულად განმარტავს კორპორაციის მიზანს და აყალიბებს მისი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სტეიკჰოლდერების წინაშე.⁴⁵ სტეიკჰოლდერების თეორია სამეწარმეო საზოგადოებას განიხილავს არა როგორც ფინანსური მოგების გენერირების საშუალებას, არამედ როგორც საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტს. სტეიკჰოლდერების თეორიის მიხედვით, შემოსავალი (მოგება) უნდა განიხილებოდეს როგორც სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის შედეგი და არა როგორც თვითმიზანი და ღირებულებების შექმნის მთავარი მამოძრავებელი ძალა.⁴⁶

⁴¹ Furubotn E. G., Codetermination and the Modern Theory of the Firm: A Property-Rights Analysis, *The Journal of Business*, Vol. 61, No. 2, April 1988, 167-168.

⁴² Wood D.J., Corporate Responsibility and Stakeholder Theory: Challenging the Neoclassical Paradigm, *Business Ethics Quarterly*, Vol. 18, No. 2, 2008, 160.

⁴³ Garriga E., Beyond Stakeholder Utility Function: Stakeholder Capability in the Value Creation Process, *Journal of Business Ethics*, Vol. 120, No. 4, April 2014, 489.

⁴⁴ Crane A., Ruebottom T., Stakeholder Theory and Social Identity: Rethinking Stakeholder Identification, *Journal of Business Ethics*, Supplement 1: Ethics, Corporations and Governance, Vol. 102, 2011, 78.

⁴⁵ Freeman R.E., Wicks A.C., Parmar B., Stakeholder Theory and “The Corporate Objective Revisited”, *Organization Science*, Vol. 15, No. 3, May – June 2004, 364.

⁴⁶ იქვე.

სტეიკჰოლდერების თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის პროფესორ რ. ედვარდ ფრიმანს, რომლის ცნობილი ნაშრომის⁴⁷ პუბლიკაცია გარდამტეხ მომენტად მიიჩნევა სტეიკჰოლდერების თეორიის ისტორიაში. ფრიმანისეული განმარტებით, სტეიკჰოლდერების თეორიას ორი მთავარი დანიშნულება აქვს: (1) გაანაწილოს სარგებელი სტეიკჰოლდერებს შორის და (2) მიანიჭოს სტეიკჰოლდერებს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება.⁴⁸ სტეიკჰოლდერების თეორიას ფრიმანი ასაბუთებს არამხოლოდ ეკონომიკური გადმოსახედიდან, არამედ სამართლებრივი არგუმენტიტაც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებულ სახელმწიფოთა საკანონმდებლო სივრცეში სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდება ისეთი კანონები, რომლებიც კორპორაციას აიძულებენ, მხედველობაში მიიღოს მომხმარებლების, მიმწოდებლების, ადგილობრივი მოსახლეობისა და დასაქმებულების მოთხოვნები და საჭიროებები.⁴⁹ ეკონომიკური თვალსაზრისითაც, კორპორაციის რესურსების მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილება ინტერესთა ჯგუფებს შორის დირექტორებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.⁵⁰

აქციონერების მოგების მაქსიმიზაციისკენ მიმართული კორპორაციული მართვა დაცლილია ეთიკური ღირებულებებისა და სოციალური შინაარსისგან, შესაბამისად, ის მოითხოვს ინტერესთა ერთი ჯგუფის - აქციონერების - მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით სხვა პირთა ინტერესების უგულებელყოფას და, ზოგჯერ, უფლებების შელახვასაც კი.⁵¹ სტეიკჰოლდერების თეორიის ამოსავალი წერტილია პრეზუმფცია, რომ ეთიკური ღირებულებები ბიზნესის ერთმნიშვნელოვნად სავალდებულო ნაწილია, და ამით ეს თეორია ემიჯნება ე.წ. „განცალკევების თეზისს“, რომლის თანახმად, ეთიკური ნორმები და ეკონომიკა (ეკონომიკური ღირებულების შექმნის პროცესი) ერთმანეთთან შეუთავსებელია.⁵² მართლაც, ბიზნესისა და ეთიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა აბსურდულია, ვინაიდან ეთიკა - დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის

⁴⁷ Freeman R.E., Strategic Management: Stakeholder Approach, 1984.

⁴⁸ Stieb J.A., Assessing Freeman's Stakeholder Theory, Journal of Business Ethics, Vol. 87, No. 3, July 2009, 405.

⁴⁹ იქვე, 406.

⁵⁰ Reynolds S.J., Schultz F.C., Hekman D.R., Stakeholder Theory and Managerial Decision-Making: Constraints and Implications of Balancing Stakeholder Interests, Journal of Business Ethics, Vol. 64, No. 3, March 2006, 287.

⁵¹ Freeman R.E., Wicks A.C., Parmar B., Stakeholder Theory and "The Corporate Objective Revisited", Organization Science, Vol. 15, No. 3, May – June 2004, 365.

⁵² იქვე, 364.

ადამიანთა ქცევის „კარგ“ და „ცუდ“ მხარეებს, ხოლო ბიზნესი, თავისი შინაარსით, სხვა არაფერია თუ არა ადამიანის ქცევების ერთობლიობა.⁵³

სტეიკჰოლდერების თეორიის მიმდევრები კორპორაციის მოგების მაქსიმიზაციის მიზანს არ ეწინააღმდეგებიან. პირიქით, მოგების მაქსიმიზაციას ისინი ფართოდ განმარტავენ და მასში თითოეული სტეიკჰოლდერისთვის (და არა მხოლოდ აქციონერებისთვის) ღირებულების (სიკეთის) შექმნას მოიაზრებენ.⁵⁴ ფრიმანის აზრით, მოგების მაქსიმიზაცია და საწარმოს მიზანი ორი განსხვავებული ცნებაა და ბიზნესსაქმიანობის მიზნად მხოლოდ მოგების მიღების განხილვა აბსურდული ლოგიკური დასკვნაა.⁵⁵

სტეიკჰოლდერების თეორიის თანახმად, საწარმოს შესაძლებლობა, გამოიმუშავოს სტაბილური მოგება გრძელვადიან პერიოდში, განისაზღვრება კრიტიკულად მნიშვნელოვან სტეიკჰოლდერებთან მისი ურთიერთობით.⁵⁶ საწარმოს სტეიკჰოლდერები არიან ის პირები ან პირთა გაერთიანებები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ საწარმოს მიერ მოგების მიღების პროცესში, და რომლებიც, შესაბამისად, წარმოადგენენ საწარმოს პოტენციურ ბენეფიციარებს ან რისკის მატარებლებს.⁵⁷ კორპორაციის მიზანია შექმნას და გაანაწილოს სიკეთეები სხვადასხვა გზით, სხვადასხვა სტეიკჰოლდერს შორის: მაგალითად, გადასცეს დივიდენდი აქციონერებს, ხელფასი - დასაქმებულებს, პროდუქტი/მომსახურება - მომხმარებლებს, გადასახადები - საზოგადოებას და სხვა.⁵⁸

სიკეთე, რომლის შექმნასაც ესწრაფვის კორპორაცია - სუბიექტური ცნებაა და სტეიკჰოლდერთა თითოეული ჯგუფისთვის განსხვავებულია: აქციონერი (ინვესტორი), როგორც წესი, ორიენტირებულია მოკლევადიანი, მაქსიმალური მოგების მიღებაზე, მაშინ როდესაც ეს საერთოდ არ აინტერესებთ გარემოსდაცვით

⁵³ Stieb J.A., Assessing Freeman's Stakeholder Theory, Journal of Business Ethics, Vol. 87, No. 3, 4 July 2009, 10.

⁵⁴ Freeman R.E., Ending the So-Called "Friedman-Freeman" Debate, Business Ethics Quarterly, Vol. 18, No. 2, 2008, 165.

⁵⁵ "Profits and purpose are two different ideas, and collapsing them is like concluding from the fact that I need red blood cells to live, that the purpose of my life is to make red blood cells.", Freeman R.E., Ending the So-Called "Friedman-Freeman" Debate, Business Ethics Quarterly, Vol. 18, No. 2, 2008, 166.

⁵⁶ Garriga E., Beyond Stakeholder Utility Function: Stakeholder Capability in the Value Creation Process, Journal of Business Ethics, Vol. 120, No. 4, April 2014, 491.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

აქტივისტებს, რომლებიც კომპანიას ეკოლოგიისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებენ.⁵⁹

ზოგადად, კორპორაციის არსებობა უკავშირდება მის ორგანიზაციულ ლეგიტიმურობას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება სოციალური ხელშეკრულების კონცეფციას. კორპორაცია მხოლოდ იმიტომ არის აღიარებული სამართალსუბიექტად, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს საზოგადოებრივი (ექსპლიციტური ან იმპლიციტური) კონსენსუსი და, შესაბამისად, საწარმოს ლეგიტიმურობა მხოლოდ იქამდეა ძალაში, სანამ მისი საქმიანობა თანხმობაშია საზოგადოებრივი სისტემის ფართო მიზნებთან.⁶⁰ სტეიკჰოლდერების თეორიას კორპორაციის მართვისა და მენეჯერული ქცევების ახსნა გაცილებით უკეთ შეუძლია, ვინაიდან თეორიის მიხედვით, მიუხედავად სამეწარმეო საზოგადოების მიზნისა თუ საქმიანობის ფორმისა, მენეჯერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ იმ ჯგუფებისა და ინდივიდების ლეგიტიმური ინტერესები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების საქმიანობაზე. ბიზნეს-გარიგება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება წარმატებულად, თუკი მასში გათვალისწინებული იქნება ყველა სტეიკჰოლდერის ინტერესი, ანუ თითოეული სტეიკჰოლდერისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში, გარიგება იქნება მომგებიანი.⁶¹

ამავდროულად, თითოეული აქციონერი (მეწილე) ასევე მოიაზრება სტეიკჰოლდერების ცნებაში. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სამყაროს დაყოფა „აქციონერების ინტერესებად“ და „სტეიკჰოლდერების ინტერესებად“ დაახლოებით „ვალისა“ და „ხილის“ ერთმანეთისგან გამიჯვნის ლოგიკური ექვივალენტია.⁶² უფრო მეტიც, აქციონერებისთვის მოგების მაქსიმიზაცია კორპორაციას მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ მისი მმართველი რგოლი სათანადოდ ითვალისწინებს და აბალანსებს ყველა სტეიკჰოლდერის ინტერესებსა და ლეგიტიმურ მოთხოვნებს.⁶³ საწარმოს აქციების (კორპორაციის)

⁵⁹ Garriga E., Beyond Stakeholder Utility Function: Stakeholder Capability in the Value Creation Process, *Journal of Business Ethics*, Vol. 120, No. 4, April 2014, 491.

⁶⁰ Rahim M.M., Raising Corporate Social Responsibility – The Legitimacy Approach, *Macquarie Journal of Business Law*, No. 9, 2012, 104.

⁶¹ Freeman R.E., Wicks A.C., Parmar B., Stakeholder Theory and “The Corporate Objective Revisited”, *Organization Science*, Vol. 15, No. 3, May – June 2004, 365-366.

⁶² იქვე, 365.

⁶³ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, *Business Lawyer*, Vol. 72, No. 3, 2017, 747.

ღირებულების ზრდა ერთმნიშვნელოვნად ახდენს მოგების (სიკეთების) მაქსიმიზაციას მთლიანი საზოგადოებისთვისაც.⁶⁴

ის, რომ აქციონერები სტეიკჰოლდერების ფართო ცნებაში ცალსახად შედიან, გამომდინარეობს აქციონერთა (პრიმატის) თეორიიდანაც: თუ ჩავთვლით, რომ სამეწარმეო საზოგადოების მიზანი აქციონერებისთვის ფინანსური მოგების გენერირებაა, როგორ უნდა შექმნას ეს მოგება საზოგადოებამ, თუკი ის არ ქმნის ისეთ პროდუქტს ან მომსახურებას, რომლის შექმნაც სურს მომხმარებელს, არ სთავაზობს დასაქმებულებს ისეთ სამუშაო პირობებს, რომ მათ სურდეთ დასაქმება, არ აყალიბებს მიმწოდებლებთან ისეთ ურთიერთობას, რომელიც ნდობას ეფუძნება და გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი?⁶⁵ ამდენად, აქციონერების მოგების ზრდა შეუძლებელია კორპორაციული მართვის ფარგლებში სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

თანამედროვე სამეწარმეო საზოგადოების წარმატებული საქმიანობა ვერ დაეფუძნება მხოლოდ ერთ, პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის მოგების გამომუშავების მიზანს და ის ყველა ინტერესის დაბალანსებას მოითხოვს. მენეჯერები შეცდომას სწორედ მაშინ უშვებენ, როცა ცდილობენ, აქციონერთა მოგება სხვა ინტერესთა ჯგუფების ხარჯზე გაზარდონ, ვინაიდან თანამედროვე სამყარო კომპლექსურია, ხოლო მენეჯერები (დირექტორები) შეზღუდულად რაციონალურები არიან.⁶⁶ ამასთან, სტეიკჰოლდერების თეორიისგან განსხვავებით, აქციონერთა თეორია ამართლებს მენეჯერების რისკიან, არაერთიკურ და, ზოგჯერ, უკანონო ქმედებებსაც კი, ვინაიდან ის კორპორაციული მართვის ფარგლებს გარეთ ტოვებს მენეჯერთა ქმედებების მორალურ მხარეს.⁶⁷

თითოეული სტეიკჰოლდერის ინტერესი ახდენს პირდაპირ და არააბსტრაქტულ გავლენას კორპორაციის ღირებულებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ის, თუ როგორ ეპყრობა კორპორაცია დასაქმებულებს, განსაზღვრავს მის შესაძლებლობას, მოიზიდოს და შეინარჩუნოს მისი ადამიანური რესურსები; ის, თუ როგორ ექცევა კორპორაცია კლიენტებს, მეტყველებს მის მიერ კლიენტების შენარჩუნების შესაძლებლობაზე

⁶⁴ Jensen M., Non-Rational Behavior, Value Conflicts, Stakeholder Theory, and Firm Behavior, Business Ethics Quarterly, Vol. 18, No. 2, 2008, 167.

⁶⁵ Freeman R.E., Wicks A.C., Parmar B., Stakeholder Theory and “The Corporate Objective Revisited”, Organization Science, Vol. 15, No. 3, May – June 2004, 366.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე, 367.

გრძელვადიან პერსპექტივაში; ის, თუ რა პოლიტიკას ატარებს კორპორაცია გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის კუთხით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის რეპუტაციასა და მატერიალურ ღირებულებაზე. სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინება (ან, სულ მცირე, ამ ინტერესების გათვალისწინების შთაბეჭდილების შექმნა), საბოლოო ჯამში, იწვევს კიდევაც აქციონერთა ღირებულების (“shareholder value”) მაქსიმიზაციას.⁶⁸

სტეიკჰოლდერების თეორიის მიხედვით, მენეჯერები ინდივიდუალურად დაინტერესებულნი და მოტივირებულნი არიან, რომ დააბალანსონ დაინტერესებულ პირთა ინტერესები. აღნიშნული პოსტულატი მხოლოდ სტეიკჰოლდერების თეორიიდან არ გამომდინარეობს: სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური გადმოსახედით, სტეიკჰოლდერების ინტერესთა დაბალანსება წარმოადგენს ადამიანთა საბაზისო სოციალური აქტივობის სახეს - გაზიარებას.⁶⁹ გაზიარება ხელს უწყობს ინდივიდებს შორის თანამშრომლობას, გრძელვადიან პერსპექტივაში სიკეთეების ეფექტურად განაწილებას, ინდივიდებს (ჯგუფებს) შორის კონფლიქტის აღბათობას ამცირებს და, საბოლოო ჯამში, ეს ევოლუციური მექანიზმი ხელს უწყობს სახეობათა გადარჩენას.⁷⁰

სტეიკჰოლდერების თეორეტიკოსები, როგორც წესი, არ გვთავაზობენ კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებითაც უნდა ისარგებლონ დირექტორებმა სამეწარმეო გადაწყვეტილებების მიღების დროს, და სწორედ ამის გამო, სტეიკჰოლდერების თეორია შეიძლება ძალიან პოპულარული იყოს მენეჯერებს შორის, ვინაიდან ვერავინ გააკონტროლებს, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ფირმის რესურსებს.⁷¹ დირექტორებს არ გაუჭირდებათ მათი საექვო გადაწყვეტილებების გამართლება სტეიკჰოლდერთა რომელიმე ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებაზე მითითებით.⁷²

⁶⁸ Orts E.W., Strudler A., The Ethical and Environmental Limits of Stakeholder Theory, Business Ethics Quarterly, Vol. 12, No. 2, 2002, 217.

⁶⁹ Reynolds S.J., Schultz F.C., Hekman D.R., Stakeholder Theory and Managerial Decision-Making: Constraints and Implications of Balancing Stakeholder Interests, Journal of Business Ethics, Vol. 64, No 3, March 2006, 286.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ Jensen M., Non-Rational Behavior, Value Conflicts, Stakeholder Theory, and Firm Behavior, Business Ethics Quarterly, Vol. 18, No. 2, 2008, 168, ასევე იხ.: Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, University of Pennsylvania Journal of Business Law, Vol. 18, No. 2, 2016, 372.

⁷² Gadinis S., Miazad A., A Test of Stakeholder Capitalism, Journal of Corporation Law, Vol. 47, No. 1, 2021, 97.

მართალია, ასეთი საფრთხეები თეორიულად არსებობს, მაგრამ მათ ანეიტრალებს სტეიკჰოლდერებსა და კორპორაციას შორის არსებული ურთიერთობის სახასიათო ნიშანი: კორპორაცია იმართება „ქვევიდან ზევით“, ანუ სწორედ სტეიკჰოლდერები განსაზღვრავენ კორპორაციების (დირექტორების) დღის წესრიგს და ეს უკანასკნელები არც ისე თავისუფალნი არიან, აირჩიონ, თუ რომელ სტეიკჰოლდერს გაუწიონ ანგარიში და რომლის ინტერესის შესაბამისად იმოქმედონ.⁷³ რამდენიმე დაინტერესებული მხარის წინაშე კორპორაციის პასუხისმგებლობა სწორედაც რომ ზრდის მისი ხელმძღვანელების ანგარიშვალდებულებას: ის სტეიკჰოლდერები, რომელთა ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნება მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება, აუცილებლად მოსთხოვენ კორპორაციას შესაბამის განმარტებას და მისი გადაწყვეტილების დასაბუთებას.⁷⁴ დირექტორთა ბორდი სწორედ იმისათვის მოქმედებს, რომ შექმნას სტეიკჰოლდერთათვის საერთო ღირებულება, კონსენსუსი, ინტერესებს შორის მედიატორის როლი შეასრულოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეს კომპრომისებზე და რომელიმე ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭებაზე.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, აქციონერთა ინტერესების გათანაბრება სხვა სტეიკჰოლდერების ინტერესებთან არ არის მართებული რამდენიმე არგუმენტის გამო. პირველი, ასეთი გათანაბრება აუფასურებს აქციონერთა ინვესტიციას და აქციონერებს ისეთ სუბიექტებთან ათანაბრებს, რომლებიც არავითარ (ან შედარებით მცირე) რისკს ატარებენ. ამდენად, სტეიკჰოლდერების თეორიის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის შემთხვევაში, აქციონერების ინვესტიციების ასეთი გაუფასურება სახელმწიფოს მხრიდან ექსპროპრიაციადაც კი განიხილავენ.⁷⁵ მეორე არგუმენტი, რომელიც დაკავშირებულია პირველთან, მდგომარეობს იმაში, რომ სტეიკჰოლდერების თეორია საგრძნობლად აფერხებს კორპორაციის მიერ ახალი აქციონერების (კაპიტალის) მოზიდვის პროცესს, ვინაიდან მათ აღარ ექნებათ ინტერესების უპირატესი დაცვის სათანადო გარანტიები და, შესაბამისად, არც მათი პირადი კაპიტალის ინვესტირების სურვილი.⁷⁶

⁷³ იხ. Gadinis S., Miazad A., A Test of Stakeholder Capitalism, Journal of Corporation Law, Vol. 47, No. 1, 2021, 97.

⁷⁴ Phillips R., Freeman E., Wicks A.C., What Stakeholder Theory Is Not, Business Ethics Quarterly, Vol. 13, No. 4, 2003, 484.

⁷⁵ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, Business Lawyer, Vol. 72, No. 3, 2017, 746.

⁷⁶ იქვე.

სტეიკჰოლდერების თეორიასა და აქციონერების თეორიას, უმრავლეს შემთხვევაში, უპირისპირებენ ერთმანეთს. მართლაც, ეს ორი თეორია რადიკალურად განსხვავებულად განიხილავს კორპორაციის მიზანს და მისი საქმიანობის ამოსავალ პრინციპებს. ამის მიუხედავად, უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ თეორიებს შორის არსებული ზღვარი თანდათან ფერმკრთალდება. თუკი ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინება თანამედროვე კორპორაციული მართვის განუყოფელი ელემენტია და კორპორაციის წარმატებულობას განაპირობებს, მაშინ სტეიკჰოლდერების თეორია იმავე შედეგს იძლევა, რასაც აქციონერების ინტერესებისკენ მიმართული კორპორაციული მართვა, უბრალოდ ამ შედეგის მიღწევას სხვა საშუალებებით გვთავაზობს.⁷⁷

2.2. სტეიკჰოლდერების კლასიფიკაცია

ბუნებრივია, რომ სტეიკჰოლდერად ვერ იქნება განხილული ნებისმიერი ინტერესთა ჯგუფი, რომელსაც რაიმე ირიბი შეხება აქვს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობასთან. ამოსავალი და ფუძემდებლური პრინციპია სტეიკჰოლდერების ლეგიტიმურობა. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, სტეიკჰოლდერების ლეგიტიმურობა განისაზღვრება სამი ფაქტორით: სტეიკჰოლდერების, როგორც ორგანიზაციის (ჯგუფის) ლეგიტიმურობა, სტეიკჰოლდერთა მოთხოვნის ლეგიტიმურობა და სტეიკჰოლდერის ქცევის ლეგიტიმურობა.⁷⁸

სტეიკჰოლდერების, როგორც ორგანიზაციის (ჯგუფის) ლეგიტიმურობა გულისხმობს საზოგადოების მიერ მის აღქმას, როგორც მისაღების (კოგნიტური ელემენტი) და სასურველის (შეფასებითი ელემენტი).⁷⁹ თავის მხრივ, სტეიკჰოლდერების მოთხოვნა ლეგიტიმურად ითვლება მაშინ, როცა ის ეფუძნება კონკრეტულ, კანონიერ უფლებებს, რომელიც გამომდინარეობს ექსპლიციტური ან იმპლიციტური გარიგებებიდან (კონტრაქტებიდან).⁸⁰ ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ დასაქმებულების მოთხოვნა, მიიღონ ხელფასი ან მონაწილეობა

⁷⁷ Gadinis S., Miazad A., A Test of Stakeholder Capitalism, Journal of Corporation Law, Vol. 47, No. 1, 2021, 91.

⁷⁸ Santana A., Three Elements of Stakeholder Legitimacy, Journal of Business Ethics, Vol. 105, No. 2, January 2012, 258.

⁷⁹ იქვე, 258-259.

⁸⁰ იქვე, 259.

მიიღონ სამეწარმეო საზოგადოების მართვაში (“the right to have voice”), მიმწოდებლების მოთხოვნა საქონლის საფასურის ანაზღაურებაზე, მომხმარებლების მოთხოვნა, ისარგებლონ უსაფრთხო პროდუქციით, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა, ისუნთქოს სუფთა ჰაერით და სხვა. მოთხოვნის არალეგიტიმურობის მაგალითია ჩინეთის რესპუბლიკაში ცენზურის მოთხოვნები ისეთ პლატფორმასთან მიმართებით, როგორცაა Google, Inc.⁸¹ სტეიკჰოლდერის ქცევის ლეგიტიმურობა განისაზღვრება მისი ქმედებების შესაბამისობით კანონმდებლობისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებთან.

ზოგადად, სტეიკჰოლდერი არის ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც (პოზიტიური ან ნეგატიური) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია კორპორაციაზე. საინტერესოა სტეიკჰოლდერების დაყოფა ნორმატიულ და დერივაციულ სტეიკჰოლდერებად.⁸² ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ნორმატიული სტეიკჰოლდერებია ის პირთა ჯგუფები, რომელთა მიმართ კორპორაციას აქვს პირდაპირი მორალური (ეთიკური) ვალდებულება, იმოქმედოს მათი ინტერესების შესაბამისად. ამ ჯგუფს, კლასიკურად, მიაკუთვნებენ დასაქმებულებს, ინვესტორებს, მომხმარებლებს, ადგილობრივ მოსახლეობას და სხვა. რაც შეეხება დერივაციულ სტეიკჰოლდერებს, მათ მიმართ კორპორაციას არანაირი პირდაპირი ვალდებულება არ გააჩნია და კორპორაცია არც იმართება მათი ინტერესების სასარგებლოდ, თუმცა ამ სტეიკჰოლდერებს აქვთ შესაძლებლობა, ზიანი მიაყენონ ან პირიქით, სარგებელი მოუტანონ კორპორაციას. დერივაციულ სტეიკჰოლდერებში მოიაზრებენ კორპორაციის კონკურენტებს, აქტივისტებს (პოლიტიკის, გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროებში და სხვ.), მედიას. მიუხედავად არაპირდაპირი გავლენისა, კორპორაციის მენეჯერებს მაინც უწევთ დერივაციული სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინება.⁸³

⁸¹ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს, როგორც სტეიკჰოლდერის მოთხოვნა არალეგიტიმურად ფასდება Google, Inc.-ის მენეჯმენტის მხრიდან, იხ.: Santana A., Three Elements of Stakeholder Legitimacy, *Journal of Business Ethics*, Vol. 105, No. 2, January 2012, 260.

⁸² Phillips R., Freeman E., Wicks A.C., What Stakeholder Theory Is Not, *Business Ethics Quarterly*, Vol. 13, No. 4, 2003, 489.

⁸³ აღნიშნულ კლასიფიკაციასთან (პირველად და მეორად დაინტერესებულ პირებად) ასევე იხ.: მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 316.

საგულისხმოა, რომ ყველა კორპორაციას აქვს სტეიკჰოლდერების განსხვავებული კატეგორიები, რაც დამოკიდებულია მისი ბიზნესის მიმართულებაზე.⁸⁴

კლასიფიკაციის კუთხით, სტეიკჰოლდერების თეორიაში განვითარებულია სამი „ქვეთეორია“ - ინსტრუმენტალური, ნორმატიული და დესკრიფციული. სტეიკჰოლდერების ინსტრუმენტალური თეორია სტეიკჰოლდერებად განიხილავს მხოლოდ პირველად, ძირითად ჯგუფებს, რომლებსაც პირდაპირი ეკონომიკური კავშირი აქვთ კორპორაციასთან (ძირითადად, სახელშეკრულებო ურთიერთობების შედეგად), ხოლო ამ ურთიერთობიდან გამომდინარე კორპორაციის სარგებლად განიხილავს ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ კავშირს, რისკის შემცირებას, რეპუტაციულ სარგებელსა და სხვ.⁸⁵

სტეიკჰოლდერების ნორმატიული თეორია ავითარებს მიდგომას, რომ სტეიკჰოლდერი არის არა საწარმოს მიზნის მიღწევის (მოგების მაქსიმიზაციის) საშუალება, არამედ თავად მიზანია.⁸⁶ ამის გათვალისწინებით, კორპორაციის წარმატებული საქმიანობა სტეიკჰოლდერებთან მის მჭიდრო სოციალურ თანამშრომლობას უკავშირდება, სტეიკჰოლდერად კი განიხილება ნებისმიერი (და არა მხოლოდ ფისკალური) ინტერესის მქონე სუბიექტი, რომელსაც ურთიერთობა აქვს კორპორაციასთან.

სტეიკჰოლდერების დესკრიფციული თეორია არ განსაზღვრავს სტეიკჰოლდერების კონკრეტულ ჯგუფებს და არ ახდენს მათ კლასიფიკაციას; ამის მაგივრად, ის ყურადღებას ამახვილებს თვითონ სტეიკჰოლდერების (ინტერესების) მართვის პრაქტიკულ ასპექტებზე.⁸⁷ საინტერესოა, რომ საბოლოო ჯამში, სამივე თეორია გარკვეულწილად აღიარებს სტეიკჰოლდერების კლასიფიკაციას „პირველ“- და „მეორეხარისხოვან“ სტეიკჰოლდერებად: პირველში მოიაზრებენ მხოლოდ იმ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებთანაც კორპორაციას ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს (მაგალითად, დასაქმებულები, მომხმარებლები და სხვ.), ხოლო მეორეში - კორპორაციის

⁸⁴ Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1., January 2016, 75.

⁸⁵ Crane A., Ruebottom T., Stakeholder Theory and Social Identity: Rethinking Stakeholder Identification, Journal of Business Ethics, Supplement 1: Ethics, Corporations and Governance, Vol. 102, 2011, 79.

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ იქვე.

საქმიანობაზე არაპირდაპირი გავლენის მქონე ინდივიდების ჯგუფებს (როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობა, აქტივისტთა გაერთიანებები და სხვ.).

აღნიშნული თეორიული საფუძვლები ავსებს და ზოგჯერ ემთხვევა კიდევაც ერთმანეთს. სტეიკჰოლდერებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში, არაერთი ავტორი ხშირად პირდაპირ აერთიანებს სამივე თეორიას სტეიკჰოლდერების მართვის თეორიის ქოლგის ქვეშ.⁸⁸ ამდენად, თეორიების ვრცელ განხილვას, როგორც სტეიკჰოლდერების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რ. ედვარდ ფრიმანი დასძენს, პრაგმატიზმის გადმოსახედიდან, ვერსად ვერ მივყავართ.⁸⁹

როდესაც ქალებს, ბავშვებს, ცხოველთა უფლებების დამცველებს, ქრისტიანებს, აფრო-ამერიკელებს და სხვა დაინტერესებულ პირთა ჯგუფებს ურთიერთობა აქვთ კორპორაციასთან, თავის მოთხოვნებს ისინი უპირისპირებენ კორპორაციას არა როგორც ბაზრის რომელიმე სეგმენტის ნაწილი (მომხმარებელი) ან შრომის ბაზრის მონაწილე (დასაქმებული), არამედ როგორც უნიკალური (უნიკალური ნიშან-თვისებების მქონე) სოციალური ერთობა და, შესაბამისად, კორპორაციის მიერ სტეიკჰოლდერებთან ურთიერთობის მართვის, რელევანტური სოციალური პრობლემების წინასწარ განსაზღვრისა და კორპორაციის ქმედებათა სტეიკჰოლდერებზე ზეგავლენის სრულყოფილად შეფასებისთვის, აუცილებელია ამ სახასიათო თავისებურებების გათვალისწინება.⁹⁰

2.3. სტეიკჰოლდერების თეორია პრაქტიკაში

სტეიკჰოლდერებთან კონსულტაციების გავლა და მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება მრავალ ბიზნეს-პრაქტიკაშია განსახიერებული: მაგალითად, ის, რომ საწარმოები, ნიჭიერ დასაქმებულთა შენარჩუნების მიზნით, მათ საშუალოზე მაღალ ხელფასებს სთავაზობენ, ან კიდევ საკუთარი ნებით (და უმრავლეს შემთხვევაში, ხარჯით) იწესებენ მაღალ გარემოსდაცვით

⁸⁸ Donaldson T., Preston L.E., The Stakeholder Theory of the Corporation: Concepts, Evidence, and Implications, *The Academy of Management Review*, Vol. 20, No. 1, January 1995, 72.

⁸⁹ Freeman R.E., Ending the So-Called “Friedman-Freeman” Debate, *Business Ethics Quarterly*, Vol. 18, No. 2, 2008, 163.

⁹⁰ Crane A., Ruebottom T., Stakeholder Theory and Social Identity: Rethinking Stakeholder Identification, *Journal of Business Ethics*, Vol. 102, Supplement 1: Ethics, Corporations and Governance, 2011, 77-78.

სტანდარტებს და ამ სტანდარტების დაცვას მოითხოვენ მათი კონტრაქტორებისგანაც.⁹¹

როგორია სტეიკჰოლდერების თეორიის პრაქტიკული გამოყენების საშუალებები? ერთ-ერთი გზა, რომლითაც შესაძლებელია სტეიკჰოლდერების დემოკრატიის ელემენტების უზრუნველყოფა, არის სპეციალური კლასის აქციების შექმნა.⁹² ზოგადად, უმთავრესი განსხვავება, რომელიც არსებობს აქციონერებსა და არააქციონერ სტეიკჰოლდერთა შორის, არის ის, რომ ეს უკანასკნელები არ ფლობენ შესაბამისი კორპორაციის აქციებს, საიდანაც გამომდინარეობს კორპორაციის მართვაში მათი მონაწილეობის შეუძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ კორპორაცია, როგორც წესი, არ არის შეზღუდული აქციების კლასებად დაყოფაში, არააქციონერ სტეიკჰოლდერთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კორპორაციის დამფუძნებელ პარტნიორებს, ან შემდგომ აქციონერთა საერთო კრებას, შეუძლიათ განსაზღვრონ აქციების სპეციალური კლასი, რომელიც, მაგალითად, მის მესაკუთრეს დივიდენდის მიღების საშუალებას არ მისცემდა, მაგრამ აღჭურავდა ხმის უფლებით.⁹³ ეს ხმის უფლებაც შეიძლება იყოს შეზღუდული და მოიცავდეს ისეთ საკითხს, როგორიცაა დირექტორთა ბორდის ერთი წევრის არჩევის შესაძლებლობა (იმ წევრის, რომელიც ამა თუ იმ სტეიკჰოლდერთა ინტერესების გატარებას უზრუნველყოფს კორპორაციის მართვისას). აქციათა ახალი კლასის შექმნის შესაძლებლობის მოქნილობის⁹⁴ გამო, სტეიკჰოლდერთა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესების ჰარმონიზაციის ასეთი გზა, პრაქტიკულად, შეუზღუდავია და მრავალი ვარიანტის კონსტრუირების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კორპორაციული მართვის პრინციპების თანახმად, კორპორაციებმა უნდა აღიარონ, რომ ინვესტორებს, დასაქმებულებს, კრედიტორებს, მომხმარებლებს და მიმწოდებლებს, ასევე სხვა სტეიკჰოლდერებს წვლილი შეაქვთ კორპორაციის კონკურენტუნარიანობასა და ფინანსურ კეთილდღეობაში, რის გამოც,

⁹¹ Gadinis S., Miazard A., A Test of Stakeholder Capitalism, Journal of Corporation Law, Vol. 47, No. 1, 2021, 92.

⁹² Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, University of Pennsylvania Journal of Business Law, Vol. 18, No. 2, 2016, 386-389.

⁹³ იქვე.

⁹⁴ შეად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 135 (1) და 158 (4) მუხლები.

კორპორაციის გრძელვადიან ინტერესებშია, ხელი შეუწყოს სტეიკჰოლდერებს შორის თანამშრომლობას.⁹⁵

საინტერესოა, რომ ამერიკაში, შტატების უმრავლესობამ მიიღო ისეთი კანონები, რომლებიც უშვებს (მაგრამ არ ავალდებულებს) კორპორაციის მიერ სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინებას კორპორაციული მართვის პროცესში.⁹⁶ ამ მხრივ, გამონაკლისია კონექტიკუტის შტატი, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს კორპორაციას, ანგარიში გაუწიოს სტეიკჰოლდერებს.⁹⁷ ხაზგასასმელია, რომ დელავერის შტატში (რომელშიც რეგისტრირებულია საჯარო კორპორაციების 55 პროცენტი და ამდენად, მისი საკორპორაციო სამართალი ყურადღებას იმსახურებს კორპორაციული მართვის საერთო სურათის შესაქმნელად) სტეიკჰოლდერების თეორია არაა აღიარებული და კანონმდებლობით დირექტორების ფიდუციური ვალდებულებები მიმართულია თავად კორპორაციისკენ და არა მაინცდამაინც აქციონერებისკენ.⁹⁸ მიუხედავად ამისა, სტეიკჰოლდერების თეორიის ფაქტობრივი გამოყენება დელავერის შტატშიც ხდება, ვინაიდან სამეწარმეო განსჯის წესში ისედაც უკვე ჩადებულია დირექტორთა საკმაოდ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც რაციონალური დასაბუთების, კეთილსინდისიერებისა და „რიტორიკული გაკრიალების“ პირობებში, თავისუფლად გაამართლებს მათ ნებისმიერ, სტეიკჰოლდერებისთვის სასარგებლო ქმედებას.⁹⁹

გაერთიანებული სამეფოს „კომპანიების შესახებ“ აქტი, რომელიც ბრიტანული საკორპორაციო სამართლის ძირითადი ნორმატიული წყაროა, ანგლო-ამერიკულ ქვეყნებს შორის მოწინავეა სტეიკჰოლდერების თეორიის საკანონმდებლო რეგლამენტაციის კუთხით. აქტის 172-ე მუხლი¹⁰⁰, სათაურით „კომპანიის წარმატების ხელშეწყობის ვალდებულება“, კომპანიის დირექტორს პირდაპირ ავალდებულებს, რომ კომპანია მართოს კომპანიის წარმატების მიღწევის მიზნით და ამისთვის მხედველობაში მიიღოს მისი გადაწყვეტილების გრძელვადიანი

⁹⁵ იხ. G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing, Paris, 2015, 34. ხელმისაწვდომია: https://read.oecd-ilibrary.org/governance/g20-oecd-principles-of-corporate-governance-2015_9789264236882-en#page4 [05.06.2022]

⁹⁶ Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, George Mason Law Review, Vol. 27, No. 1, 2019, 92.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე, 93.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ Companies Act, 2006, Section 172, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/section/172> [28.05.2022]

შედეგები, დასაქმებულთა ინტერესები, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობა და კომპანიის მიერ მაღალი სტანდარტების დაცვის, რეპუტაციის შენარჩუნების სურვილი. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი ცალკე გამოყოფს, აუცილებლობის შემთხვევაში, დირექტორის მიერ კრედიტორების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას.

2.4. კოდეტერმინაცია სტეიკჰოლდერების თეორიის გადმოსახედიდან

აქციონერებსა და სხვა სტეიკჰოლდერებს შორის არსებობს ერთ-ერთი თვალსაჩინო სხვაობა, რომელიც განაპირობებს აქციონერებისათვის გარკვეული პრეფერენციების მინიჭების „ობიექტურ“ გამართლებას: აქციონერებს აქვთ კორპორაციის მენეჯერების არჩევისა და გადაყენების უფლებამოსილება. ამდენად, აქციონერებისა და სტეიკჰოლდერების ინტერესების დასაბალანსებლად, ხმის მიცემის უფლება უნდა გადანაწილდეს ყველა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლებზე, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა.¹⁰¹ ამის გათვალისწინებით, კორპორაციულ მართვაში დასაქმებულების ეფექტური მონაწილეობის ერთ-ერთ ოპტიმალურ ფორმად მიიჩნევა დასაქმებულთა დამოუკიდებელი გაერთიანებების (მაგალითად, პროფესიული კავშირების) შექმნა¹⁰², ასევე, დასაქმებულთა წარმომადგენლობა კორპორაციის მართვის ორგანოებში.

სტეიკჰოლდერების თეორიის პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კოდეტერმინაციის ინსტიტუტი. კოდეტერმინაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დასაქმებულები თვითონვე იღებენ მონაწილეობას კორპორაციის მართვაში, რაც მიზნად ისახავს არამხოლოდ აქციონერების, არამედ დასაქმებულების ინტერესების გათვალისწინებასა და დაბალანსებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ამით კომპანიის გრძელვადიანი განვითარების უზრუნველყოფას.

კოდეტერმინაციის მხრივ, ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად მიიჩნევა გერმანია, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი ორ გამოხატულებას ჰპოვებს. ერთ-ერთი მათგანია დასაქმებულთა საბჭოები, რომელთა შექმნასა და ფუნქციონირებასთან

¹⁰¹ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, Business Lawyer, Vol. 72, No. 3, 2017, 750.

¹⁰² იქვე, 752.

დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს „საწარმოს შინაგანაწესის შესახებ“ გერმანიის კანონი¹⁰³ (“Betriebsverfassungsgesetz – BetrVG”), რომლის 87-ე მუხლი პირდაპირ ჩამოთვლის იმ სფეროებს, რომლებშიც დასაქმებულთა საბჭო სარგებლობს კოდეტერმინაციის უფლებით და ისინი, ძირითადად, შეეხება საწარმოს შიდაორგანიზაციულ საკითხებს, სამუშაო დღის ხანგრძლივობას, შესვენებას, შრომითი უსაფრთხოების დაცვას, ხელფასის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა. დასაქმებულთა საბჭო დამოკიდებული არაა არც დასაქმებულზე და არც პროფესიულ კავშირებზე, თავის საქმიანობაში კი ის საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს: მაგალითად, მას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია და გამოიკვლიოს შესაბამისი დოკუმენტაცია, შეამოწმოს დამსაქმებლის მიერ კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვა, მისცეს მას რეკომენდაციები, გამოიყენოს ვეტოს უფლება და სხვა.¹⁰⁴ აღნიშნული კანონი 2004 წელს ჩაანაცვლა კანონმა¹⁰⁵, რომელმაც დასაქმებულთა როლი კორპორაციულ მართვაში კიდევ უფრო გაზარდა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს დააკისრა ვალდებულება, 500-ზე მეტი დასაქმებულის შემთხვევაში, უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 1/3 სწორედ დასაქმებულებით დაკომპლექტდეს.

კორპორაციული მართვის კუთხით, დასაქმებულების, როგორც კორპორაციის სტეიკჰოლდერების, კიდევ უფრო აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს „დასაქმებულთა კოდეტერმინაციის შესახებ“ გერმანიის კანონი (“Gesetz über die Mitbestimmung der Arbeitnehmer” (Mitbestimmungsgesetz - MitbestG)). კანონი ვრცელდება კაპიტალური ტიპის საზოგადოებებზე, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა, როგორც წესი, 2000-ზე მეტია და ითვალისწინებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულთა წარმომადგენლობას, რომელიც საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობის პროპორციულად განისაზღვრება.¹⁰⁶ ამასთან, მიუხედავად სამეთვალყურეო საბჭოში თანაბარი წარმომადგენლობისა, აქციონერთა წარმომადგენლები უპირატესობით სარგებლობენ: თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვერ იქნება არჩეული ხმათა 2/3-ით, სწორედ აქციონერთა წარმომადგენლები ირჩევენ თავმჯდომარეს და მას,

¹⁰³ Betriebsverfassungsgesetz, <https://www.gesetze-im-internet.de/betrvg/> [05.05.2022]

¹⁰⁴ Page R., Co-determination in Germany – A Beginner’s Guide, Arbeitspapier, No. 313, Hans-Böckler-Stiftung, Düsseldorf, 2018, 13-16.

¹⁰⁵ Gesetz über die Drittelbeteiligung der Arbeitnehmer im Aufsichtsrat (Drittelbeteiligungsgesetz - DrittelbG), <https://www.gesetze-im-internet.de/drittelbg/BJNR097410004.html> [01.06.2022]

¹⁰⁶ Mitbestimmungsgesetz, §7, <https://www.gesetze-im-internet.de/mitbestg/BJNR011530976.html> [05.05.2022]

კენჭისყრისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს.

სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულთა წარმომადგენლობა მათ, როგორც საბჭოს წევრებს, მნიშვნელოვან როლს ანიჭებს - დაამტკიცონ დირექტორთა ბორდის შემადგენლობა და აკონტროლონ მათი საქმიანობა. ამდენად, სტეიკჰოლდერების თეორიის გათვალისწინებით, კოდეტერმინაცია უზრუნველყოფს საწარმოს მართვას დასაქმებულების ინტერესების მხედველობაში მიღებით და ამით - მისი გრძელვადიანი ღირებულების ზრდასა და მდგრად განვითარებას. მართალია, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, კოდეტერმინაცია, როგორც გერმანული კანონმდებლობისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტი, ხელს უშლის მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციას, მაგრამ თუკი საწარმოს (და მის მიზნებს) სტეიკჰოლდერების თეორიიდან გამომდინარე განვმარტავთ, მოკლევადიანი მოგების დათმობა კორპორაციის გრძელვადიანი წარმატებულობის საწინდარია.¹⁰⁷

დადებითი მხარეების მიუხედავად, გერმანიის მაგალითი შორს არის ჭეშმარიტებისგან და გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს სტეიკჰოლდერების თეორიის გადმოსახედიდანაც. კოდეტერმინაციის ინსტიტუტი არ არის პანაცეა სტეიკჰოლდერთა ინტერესებისკენ ორიენტირებული კორპორაციული მართვის ჩამოსაყალიბებლად: კოდეტერმინაციის პირობებში, დასაქმებულების მიერ არჩეული დირექტორთა ბორდის წევრები ნაკლებად იქნებიან დაინტერესებულები, განახორციელონ დასაქმებულთა ეფექტური კონტროლი, რადგან ამგვარი ქცევით ისინი რისკის ქვეშ აყენებენ მათი ხელახლა არჩევის პერსპექტივას.¹⁰⁸ ამასთან, სწორედ არაერთგვაროვანი სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს ცნობილი კორპორაციული სკანდალების მიზეზად, რაც ეფექტური კონტროლისა და მართვის განხორციელების ნაკლებობაში გამოიხატება.¹⁰⁹ სამეთვალყურეო საბჭოს ორგვარი ბუნება განაპირობებს იმას, რომ დასაქმებულებს ეძლევათ წვდომა

¹⁰⁷ ხიზანიშვილი ვ., „სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)“, გამომცემლობა „ლო“, თბილისი, 2020, 72.

¹⁰⁸ Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, *Business Lawyer*, Vol. 72, No. 3, 2017, 752.

¹⁰⁹ საუბარია ფოლკსვაგენის მიერ გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებულ სკანდალს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ 2007-2015 წლებში კომპანია თავის ავტომობილებზე სპეციალური მოწყობილობის დაყენებით, აყალბებდა ტესტის შედეგებს, იხ.: Elson C.M., Ferrere C., Goossen N.J., *The Bug at Volkswagen: Lessons in Co-Determination, Ownership, and Board Structure*, *Journal of Applied Corporate Finance*, Vol. 27, No. 4, 2015, 36, 40.

კომპანიის შიდა ინფორმაციაზე და ხმის უფლება მართვის საკითხებში, რის გამოც ისინი მოტივირებულნი არიან, მოითხოვონ უფრო დიდი წილი კომპანიის შემოსავლებიდან (მაგალითად, ხელფასის გაზრდა), რაც, თავის მხრივ, აქციონერების წილს შემოსავლებში ამცირებს და მათ (წარმომადგენლებს) აღარ უღირთ ახალი, პოტენციურად მომგებიანი პროექტების შეთავაზება საბჭოსთვის.¹¹⁰

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მართალია, სტეიკჰოლდერების თეორიის გადმოსახედიდან, კოდეტერმინაციის ინსტიტუტი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს კორპორაციული მართვისას ისეთი მსხვილი სტეიკჰოლდერების ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას, როგორცაა დასაქმებულები, მაგრამ კოდეტერმინაციის იმ ფორმას, რომელიც მოქმედებს გერმანიაში, ყურადსაღები უარყოფითი მხარეები აქვს. კოდეტერმინაციის ინსტიტუტის კრიტიკის გათვალისწინებით, თავად დასაქმებულთა ძალაუფლების დასაბალანსებლად, ერთ-ერთი გამოსავალია კორპორაციის მართვის ორგანოებში არამხოლოდ დასაქმებულების, არამედ სტეიკჰოლდერების სხვა ჯგუფების წარმომადგენლების დანიშვნა.

III. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა

3.1. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის არსი

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე ფორმის განვითარება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების სამართლებრივი ფორმის გაჩენასთან ერთად დაიწყო.¹¹¹ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის „მამად“ მიიჩნევა ჰოვარდ ბოუენი, ავტორი წიგნისა „ბიზნესმენის სოციალური პასუხისმგებლობები“ (1953), სადაც პირველად ჩამოყალიბდა ბიზნესმენების ვალდებულება, იმოქმედონ იმ მიზნების შესაბამისად, რომლებიც სასურველია საზოგადოებისთვის.¹¹²

¹¹⁰ Elson C.M., Ferrere C., Goossen N.J., The Bug at Volkswagen: Lessons in Co-Determination, Ownership, and Board Structure, *Journal of Applied Corporate Finance*, Vol. 27, No. 4, 2015, 40-41.

¹¹¹ Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, *Rutgers Journal of Law and Public Policy*, Vol. 6, No. 2, 2009, 373.

¹¹² Поєдинок В., «Корпоративна Соціальна Відповідальність» та «Бізнес і Права Людини»: Співвідношення Концепцій, *Право України*, No. 8, 2019, 136.

ისტორიულად, კორპორაციების სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბება და განვითარება სოციალურ მიზნობრიობას ეფუძნებოდა. საწყის ეტაპზე, კორპორაციები ეფუძნებოდნენ ნდობით ურთიერთობებს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის და მათი ამოცანა იყო საჯარო (საზოგადოებრივი) მნიშვნელობის პროექტების შესრულება, როგორცაა გზების, ხიდების მშენებლობა და სხვა.¹¹³ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციების „დნმ-ში არის კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობა“, ვინაიდან კორპორაციის დაფუძნება წარმოუდგენელი იყო, თუკი ის „ვერ ჩააბარებდა ნამდვილი საზოგადოებრივი მიზნის ტესტს“.¹¹⁴

მართალია, კორპორაციების დაფუძნება აქციონერების ინტერესებში მისი მართვისა და მათი მოგების მაქსიმუმაციის მიზნით იყო განპირობებული, თანდათან, აქციონერების რაოდენობის ზრდასთან ერთად, მათ დაკარგეს კორპორაციაზე პირდაპირი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა (და ეს უფლებამოსილება, უმთავრესად, დირექტორების ხელში დარჩა), რის გამოც, კორპორაციას გაუჩნდა მნიშვნელოვანი თავისუფლება, იმოქმედოს არა აქციონერების, არამედ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.¹¹⁵

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, კორპორაციებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ საქმიანობა, როცა მათი ღირებულებითი სისტემა ეთხვევა საზოგადოების ძირითადი ნაწილის ღირებულებით სისტემას, ვინაიდან სწორედ საზოგადოებაა საწარმოების სამართლებრივი სტატუსის წყარო და ორგანიზაცია ვერ მიიღებს სამართლებრივ სტატუსს დამოუკიდებლად, ავტომატურად, სანამ არ დაამტკიცებს, რომ მისთვის სამართლებრივი ფორმის მინიჭებით საზოგადოება უფრო მეტ სარგებელს ნახავს, ვიდრე ხარჯის გაწევა მოუწევს (ზიანის ჩათვლით).¹¹⁶ ამდენად, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ქვაკუთხედაა კორპორაციის ორგანიზაციული ლეგიტიმურობა, რომელიც სამი - პრაგმატული, კოგნიტური და მორალური - ლეგიტიმურობის ქვესახეებისგან შედგება.¹¹⁷ პრაგმატული ლეგიტიმურობა მიიღწევა კორპორაციის საქმიანობაში სტეიკჰოლდერების უშუალო მონაწილეობით, რა დროსაც, ლეგიტიმურობა

¹¹³ Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, Rutgers Journal of Law and Public Policy, Vol. 6, No. 2, 2009, 343.

¹¹⁴ იქვე, 343-344.

¹¹⁵ Hay T.H., The Shareholder's Role in Corporate Social Responsibility, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 5, No. 1, Fall 1971, 69.

¹¹⁶ Rahim M.M., Raising Corporate Social Responsibility – The Legitimacy Approach, Macquarie Journal of Business Law, No. 9, 2012, 102.

¹¹⁷ იქვე, 105.

მიწერება სწორედ მათ ჩართულობას მართვის პროცესში; კოგნიტური და მორალური ლეგიტიმურობა გულისხმობს სტეიკჰოლდერების მიერ კორპორაციის საქმიანობის შედეგების, პროცედურების, სტრუქტურისა და მენეჯერთა ქცევების შეფასებას, როგორც გონივრული აუცილებლობის, ისე მორალური გამართლების კუთხით.¹¹⁸

როგორც ბევრი სხვა სამეცნიერო ცნება, კორპორაციის სოციალურმა პასუხისმგებლობამ პოპულარობა თავისი შინაარსის არაერთგვაროვნებით, ბუნდოვანებით დაიმსახურა.¹¹⁹ კორპორაციის სოციალურ პასუხისმგებლობას განმარტავენ, როგორც კორპორაციის მიერ ბიზნესის წარმოების მოდელს, რა დროსაც, კორპორაცია ითვალისწინებს მისი საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს და აღიარებს მისი სტეიკჰოლდერების (მათ შორის, ინვესტორების, მომხმარებლების, დასაქმებულების, ბიზნეს პარტნიორების, ადგილობრივი თემების, ფართო საზოგადოების) ინტერესებს.¹²⁰ ამასთან, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია არ არის ერთგვაროვანი და ჩინეთში, მაგალითად, ის გულისხმობს უსაფრთხო და მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოების უზრუნველყოფას, გერმანიაში - შრომით ურთიერთობებში დასაქმებულთა დაცვას, ხოლო სამხრეთ აფრიკაში - სოციალურ განვითარებას.¹²¹

ერთი შეხედვით, კორპორაციისთვის რაიმე დამატებითი ვალდებულების დაწესება, რომელიც, შესაძლოა, მისი მთავარი მიზნის - მაქსიმალური მოგების მიღების¹²² - მიღწევის შემაფერხებელი გარემოებაც კი იყოს, მხოლოდ იძულების მექანიზმის გამოყენებით, ანუ სახელმწიფოს ჩარევით არის შესაძლებელი. წლების განმავლობაში ეს მართლაც ასე იყო და სასურველი გადაწყვეტილებების მიღება სწორედ პოლიტიკური ლობირების გზით ხდებოდა. ამის მიუხედავად, დღევანდელი მსოფლიო ასე ვერ მუშაობს. იძულებითი მექანიზმის გამოყენებით, სახელმწიფო არათუ არ უწყობს ხელს სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებას, არამედ ზოგჯერ სრულიად საპირისპირო შედეგს იღებს. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში

¹¹⁸ Rahim M.M., Raising Corporate Social Responsibility – The Legitimacy Approach, Macquarie Journal of Business Law, No. 9, 2012, 105-106.

¹¹⁹ Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008, 203-204.

¹²⁰ Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1, January 2016, 73.

¹²¹ იქვე.

¹²² აქციონერების თეორიის მიხედვით.

ემისიის გადაჭარბებული რეგულირების გამო, ბევრი საწარმო იძულებული გახდა, გადაეტანა წარმოება საზღვარგარეთ, მესამე მსოფლიოს ქვეყნებში.¹²³ ზოგადად, წარმოების საზღვარგარეთ გადატანის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდა კორპორაციის ხელში სახელმწიფოს რეგულაციებისათვის ერთგვარი წინააღმდეგობის გასაწევად, და ამ პრობლემის გადაჭრა ტრადიციული საჯარო პოლიტიკის მეთოდების გამოყენებით შეუძლებელია.¹²⁴

ეკონომიკურმა გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა: არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, საწარმოებსა და კერძო ინტერესთა ჯგუფებისათვის ნათელი გახდა, რომ მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა, ბიზნესის (წარმართვის) ხარისხის რეგულირება და საქმიანობის სტანდარტების დაწესება მათ დამოუკიდებლად, უშუალოდაც შეუძლიათ, საწარმოებთან პირდაპირი ურთიერთქმედების გზით.¹²⁵ მართლაც, უფრო მარტივია კერძო ინტერესების ლობირებით, უშუალო ურთიერთობით მაკდონალდსს მოვსთხოვოთ, გლობალურად (ყველა იმ ბაზარზე, სადაც ის ოპერირებს) შემოიღოს ქცევის წესები (ე.წ. “code of conduct”), რომლებიც, მაგალითად, სავალდებულოდ გამოაცხადებენ კვებითი ინფორმაციის განთავსებას შეფუთვებზე, ვიდრე ამ მოთხოვნით მივმართოთ ასობით სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებს.¹²⁶ გარდა უშუალოდ საზოგადოების (აქტივისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების) ჩართულობისა, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა შეუძლიათ ინვესტორებსაც (აქციონერებს). სოცალურად პასუხისმგებლიანი ინვესტირება¹²⁷ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ინვესტორებს შორის, რაც გულისხმობს მათ მიერ კაპიტალის დაბანდებას მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ძირითადი ასპექტების შესაბამისად მოქმედებენ. ინვესტირების ასეთი მიდგომა არა იმდენად ფილანთროპული მიზნებით არის ნაკარნახები, რამდენადაც ფინანსური რისკების მართვის საჭიროებით: ისეთ კორპორაციებში ინვესტირებით, რომლებიც სოციალურად

¹²³ Chatterji A.K., Richman B.D., Understanding the Corporate in Corporate Social Responsibility, Harvard Law & Policy Review, Vol. 2, No. 1, 2008, 37.

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ იქვე, 36.

¹²⁶ იქვე, 38.

¹²⁷ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

პასუხისმგებლიანად ოპერირებენ, საგრძნობლად მცირდება აქციების შემდგომი გაუფასურების საფრთხე სამომავლო კრიზისებისა და რეპუტაციული დანაკარგების შედეგად.¹²⁸ ევროპისა და გაერთიანებული სამეფოს ინსტიტუციური ინვესტორები ინვესტირების შესაძლებლობებს ეძებენ სწორედ იმ კომპანიებში, რომელი კომპანიებიც აღიარებენ და იცავენ სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო პრინციპებს.¹²⁹

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა ეფუძნება დაშვებას, რომ თანამედროვე კორპორაციებს აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსი, ადამიანური კაპიტალი და გლობალური გავლენა იმისათვის, რომ წვლილი შეიტანონ მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში.¹³⁰ ბევრ შემთხვევაში, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივა მომდინარეობს თავად კორპორაციისგან, რაც განპირობებულია კორპორაციის ბრენდის ღირებულების გაზრდის, მომხმარებლების დაინტერესების, კორპორაციული კულტურის განვითარებისა და სხვა მსგავსი მიზნებით.¹³¹ ამასთან, აღნიშნულ ინიციატივას არ აქვს სისტემური ხასიათი და კორპორაციები (დირექტორები) მაინც შეზღუდულნი არიან აქციონერების ინტერესებითა და საბაზრო კონკურენციით, როდესაც ცდილობენ კორპორაციული რესურსები გაანაწილონ სოციალური მიზნებისთვის და, შესაბამისად, ე.წ. “win-win” მდგომარეობის მიღწევა საკმაოდ რთულია.¹³² ზოგიერთ შემთხვევაში, კორპორაციები სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას იყენებენ მხოლოდ მარკეტინგული მიზნებისთვის და საერთოდ არ აქვთ დაგეგმილი შესაბამისი ღონისძიებების პრაქტიკაში გატარება.¹³³ სწორედ ამის გათვალისწინებით, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის თეორია მჭიდროდ არის დაკავშირებული სტეიკჰოლდერების თეორიასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის ნორმატიულ-ინსტრუმენტალური საფუძველი კორპორაციული რესურსების დაინტერესებულ პირებზე (მათ შორის, სოციალური მიზნებით) განაწილებისა.

¹²⁸ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

¹²⁹ Jackson K.V., Towards a Stakeholder–Shareholder Theory of Corporate Governance: a Comparative Analysis, *Hastings Business Law Journal*, Vol. 7, No. 2, 2011, 325.

¹³⁰ Chatterji A.K., Richman B.D., Understanding the Corporate in Corporate Social Responsibility, *Harvard Law & Policy Review*, Vol. 2, No. 1, 2008, 33.

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე.

¹³³ Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, *Rutgers Journal of Law and Public Policy*, Vol. 6, No. 2, 2009, 374.

როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში? ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს სახელმწიფოს მონაწილეობის 3 ფორმას: პირველია უშუალო სამართლებრივი რეგულაციების შემოღება და კანონმდებლობით კორპორაციებისთვის პირდაპირი ვალდებულებების დაკისრება, მეორე - „რბილი სამართლის“ გამოყენებით კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია (მაგალითად, კორპორაციული ქცევის კოდექსების კულტურის განვითარებით, ადმინისტრაციულ ან, თუნდაც, კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებში, რომლის მხარეც სახელმწიფოა, კორპორაციების სოციალური ან გარემოსდაცვითი ვალდებულებების გათვალისწინება), ხოლო მესამე - კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის სახელმწიფოს მიხედულობის ფარგლებს გარეთ დატოვება.¹³⁴

ჩვენი შეფასებით, განვითარებულ საზოგადოებებში სტეიკჰოლდერების თეორიისა და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა არ უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოსმიერ იძულებას. ვინაიდან სახელმწიფოს დემოკრატიულობას განაპირობებს საზოგადოების სოციალური შეთანხმება დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, აღნიშნული პრინციპი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზეც უნდა გავრცელდეს და კორპორაციის სოციალურად სასარგებლო საქმიანობას სწორედ საზოგადოება უნდა მოითხოვდეს. ამასთანავე, საზოგადოების მხრიდან იძულების გარდა, სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებების გატარება თავად კორპორაციების თვითრეგულირების გზითაც ხდება. მარტივად რომ ითქვას, თუ ერთ კორპორაციას არ უნდა სოციალურად სასარგებლო, თუმცა ძვირადღირებული ნაბიჯის გადადგმა სტეიკჰოლდერების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ის იძულებული იქნება, რომ მაინც გადადგას ეს ნაბიჯი, თუკი მისი კონკურენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ასე მოიქცევა.¹³⁵ ამდენად, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის თეორია შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ძლიერი თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც ავსებს კანონმდებლობის ხარვეზებს.¹³⁶

¹³⁴ Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008, 204-205.

¹³⁵ Chatterji A.K., Richman B.D., Understanding the Corporate in Corporate Social Responsibility, Harvard Law & Policy Review, Vol. 2, No. 1, 2008, 38.

¹³⁶ Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1., January 2016, 70.

თვითრეგულირების ერთ-ერთი გამოხატულებაა კორპორაციების მიერ ქცევის კოდექსების შემოღება. ქცევის კოდექსები ატყობინებენ მომხმარებლებს, რომ პროდუქტი ან მომსახურება, რომლებსაც ისინი იძენენ, წარმოებულია სოციალურად, ეთიკურად და გარემოსაცვითი თვალსაზრისით მისაღებ პირობებში.¹³⁷ ამასთან, ქცევის კოდექსი არ არის მხოლოდ შიდაკორპორაციული დოკუმენტი. რა თქმა უნდა, ის გარკვეულწილად ასრულებს მარკეტინგულ ფუნქციასაც, თუმცა, ასევე, ის მნიშვნელოვანი ბერკეტია მომხმარებლის ხელში კორპორაციაზე ზეგავლენის მოხდენისა: იმ შემთხვევაში, თუ ქცევის კოდექსში მოცემული დებულებები მხოლოდ ქაღალდზე რჩება და კორპორაცია პრაქტიკულად არ ასრულებს მათ, ქცევის კოდექსი შეიძლება ჩაითვალოს შეცდომაში შემყვან, არასწორ რეკლამად (დეზინფორმაციად) და კორპორაცია დაექვემდებაროს შესაბამის სანქცირებას. აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია ევროკავშირის სახელმწიფოებშიც.¹³⁸

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის სრულიად თვითრეგულირებად სფეროდ დატოვება მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან თუნდაც მინიმალური სტანდარტები, რომლებიც შეეხება სოციალურ უფლებებსა და გარემოსდაცვით ღონისძიებებს, სახელმწიფოს მიერ გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა იყოს მოქცეული.¹³⁹ ამასთან, იმისათვის, რომ კორპორაცია სოციალურად პასუხისმგებლიანი იყოს, მან უნდა არამხოლოდ შეასრულოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებები, არამედ გასცდეს მათ და მოახდინოს უფრო მეტი ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში, გარემოში და მის ურთიერთობაში სტეიკჰოლდერებთან.¹⁴⁰

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა არ არის მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო. თავად კორპორაციისთვისაც ის მრავალი სარგებლის მომტანია, როგორცაა პოზიტიური ეფექტი კორპორაციის იმიჯსა და რეპუტაციაზე, ხარჯების დაზოგვა გრძელვადიან პერსპექტივაში, აქციების საბაზრო ფასისა და კორპორაციის შემოსავლის ზრდა, ფინანსური რისკების

¹³⁷ Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008, 232.

¹³⁸ იქვე, 233.

¹³⁹ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

¹⁴⁰ იქვე.

მენეჯმენტი და მათი შემცირება, ასევე დასაქმებულების მოტივაციის ამაღლება, ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება.¹⁴¹

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის მოწინააღმდეგეები კორპორაციას ერთადერთ სოციალურ ვალდებულებას აკისრებენ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაცია ვალდებულია, გამოიყენოს რესურსები და იმოქმედოს თავისი მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, იმგვარად, რომ „დაიცვას თამაშის წესები“ და გახდეს ჯანსაღი კონკურენციის მონაწილე.¹⁴² საგულისხმოა, რომ ეს თეზისი ვერ გაუძლებდა თუნდაც 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისს, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ კრიზისამდე კორპორაციები მოქმედებდნენ „თამაშის წესებით“, ისინი მაინც ახერხებდნენ ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას საკუთარი მოგების მაქსიმიზაციისთვის, რაც მოკლევადიანი მოგების მიღების „ეგიდით“ საწარმოს გრძელვადიანი პერსპექტივების უგულებელყოფასა და ზედმეტი (ფინანსური) რისკის აღებაში ვლინდებოდა.¹⁴³ 2007-2009 წლების ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, ფაქტობრივად, დიდწილად გამოწვეული იყო კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის არასათანადო განვითარებითა და პრაქტიკაში გამოუყენებლობით.¹⁴⁴

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის, ისევე როგორც სტეიკჰოლდერთა თეორიის გამართული ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია შესაბამისი მინიმალური საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა. საკანონმდებლო რეგულირება საკორპორაციო სამართლის რამდენიმე ასპექტს უნდა შეეხოს, როგორცაა დირექტორების ფიდუციური ვალდებულებების გაფართოება, ხელმძღვანელობით ორგანოებში სტეიკჰოლდერების წარმომადგენლობა,

¹⁴¹ Kot S., Knowledge and Understanding of Corporate Social Responsibility, Journal of Advanced Research in Law and Economics (JARLE), Vol. 5, No. 2, 2014, 110.

¹⁴² Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1., January 2016, 70.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, Rutgers Journal of Law and Public Policy, Vol. 6, No. 2, 2009, 413.

კორპორაციის გამჭვირვალობა, საკორპორაციო სამართლის ექსტრატერიტორიულობა¹⁴⁵ და კორპორაციის მიზნობრიობის ცვლილება^{146,147}

გარდა საკანონმდებლო რეგულირებისა, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარება სახელმწიფო შესყიდვების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გაფორმების გზითაც შეუძლია. საჯარო ხელშეკრულებებში არაეკონომიკური პირობების შეტანა დასაშვებად იქნა მიჩნეული ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, როდესაც სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულის გამოვლენა შესაძლოა მოხდეს არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გათვალისწინებითაც.¹⁴⁸

3.2. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მიმართულებები

ზოგადი კლასიფიკაციით, გამოყოფენ კორპორაციის სოციალური მართვის ორ ძირითად სეგმენტს: (1) კორპორაციული ფილანთროპია, რომელიც კორპორაციის საქველმოქმედო საქმიანობას გულისხმობს და (2) კომპანიის მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და კომპანიის ისეთი მართვა, რომ სარგებელი ფართო სოციალურმა ფენამაც მიიღოს.¹⁴⁹

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს 4 ძირითად ასპექტს: ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და ფილანთროპული. აღნიშნული ასპექტებიდან გამომდინარე, კორპორაციებს ეკისრებათ შესაბამისი ვალდებულებები, რომელთა შორის,

¹⁴⁵ რაც უზრუნველყოფს კორპორაციის მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულებების შესრულებას მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ წარმოება და ბიზნეს-ოპერაციები გადააქვს საზღვარგარეთ, ისეთ ქვეყანაში, სადაც კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები არ არსებობს ან ძალიან დაბალია.

¹⁴⁶ რაც გულისხმობს კაპიტალური ტიპის საზოგადოებების ძირითად ან თუნდაც დამატებით, ნორმატიულ მიზნად საზოგადოებრივი სარგებლიანობის გათვალისწინებას.


¹⁴⁷ Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, Rutgers Journal of Law and Public Policy, Vol. 6, No. 2, 2009, 417.

¹⁴⁸ Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008, 228.

¹⁴⁹ მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015, 334.

მკვლევარების შეფასებით, იერარქიული დამოკიდებულებაც არსებობს.¹⁵⁰ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდაში¹⁵¹ (სქემა №1) კორპორაციის ქვაკუთხედია მისი ეკონომიკური ვალდებულება, იყოს მომგებიანი, შემდეგ - სამართლებრივი ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობისა და „თამაშის წესების“ დაცვისა. ეთიკური და ფილანთროპული ვალდებულებები კი, უმთავრესად, სწორ და სამართლიან ქცევას, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოებაზე რესურსების განაწილებას გულისხმობს.

სქემა №1



კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ორ განზომილებად დაყოფას გვთავაზობს ევროკომისია.¹⁵² შიდა განზომილება მოიცავს კორპორაციის ადამიანური რესურსების მართვას, შრომითი უსაფრთხოების დაცვასა

¹⁵⁰ Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1., January 2016, 74.

¹⁵¹ Caroll A.B., The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders, Business Horizons, Vol. 34, No. 4, July 1991, 34-40; იხ. ციტირება: Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1., January 2016, 74.

¹⁵² GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

(უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას) და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოზე ზეგავლენის მართვას.¹⁵³ ადამიანური რესურსის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად, კორპორაციამ უნდა შესთავაზოს დასაქმებულ პირებს უწყვეტი პროფესიული განათლება, ადეკვატური სამუშაო პირობები, თანაბარი შრომის ანაზღაურება და კორპორაციის მოგებაში მონაწილეობა (მაგალითად, დასაქმებულების მიერ აქციების შეძენის შესაძლებლობის უზრუნველყოფით). გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების კუთხით, როგორც მიმდინარე ეროვნული კანონმდებლობის დაცვა, ისე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა, მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია. რაც შეეხება გარემოს დაცვას, აქ იგულისხმება კორპორაციის საქმიანობის, მის მიერ წარმოებული პროდუქტის როგორც წარმოების ეტაპზე, ისე მომხმარებლის მიერ გამოყენების პროცესში და გამოყენების შემდეგ უტილიზაციის შესაძლებლობის მონიტორინგი გარემოსდაცვითი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

გარე განზომილებაში მოიაზრებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ბიზნეს პარტნიორებთან, მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან კორპორაციის ურთიერთობას, ასევე ადამიანის უფლებების დაცვასა და გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტაში კორპორაციის მონაწილეობას.¹⁵⁴ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა გამოიხატება არამხოლოდ იმაში, რომ კორპორაცია იხდის გადასახადებსა და ქმნის სამუშაო ადგილებს, არამედ იმაშიც, რომ ის ამზადებს შესაბამის კადრებს სამუშაოზე მისაღებად, ქმნის მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს (არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე თავისი საქმიანობით/პროდუქტით), აკეთებს ინვესტიციებს ადგილობრივ პროექტებში და სხვა. ბიზნეს პარტნიორებთან და მიმწოდებლებთან სათანადო კომუნიკაცია და მათი ფრთხილი, გააზრებული შერჩევაც მნიშვნელოვანი კომპონენტია კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობისა, ვინაიდან კომპანიის აღქმა საზოგადოებაში ყალიბდება, მათ

¹⁵³ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

¹⁵⁴ იქვე.

შორის, მისი პარტნიორების/მიმწოდებლების საქმიანობის მოდელისა და ქცევების გათვალისწინებით.¹⁵⁵

600 კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების შესწავლის საფუძველზე¹⁵⁶, გამოიკვეთა კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის 6 ძირითადი მიმართულება: (1) დასაქმებულთა მხარდაჭერა - სამუშაოს უსაფრთხოების, დასაქმებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა, კორპორაციის მოგებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, პროფკავშირებთან ურთიერთობების დამყარება; (2) ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის, დისკრიმინაციის აღმოფხვრა (ე.წ. “diversity support”); (3) ადგილობრივი მოსახლეობის (თემის) მხარდაჭერა, სხვადასხვა საგანმანათლებლო/დასაქმების პროგრამის განხორციელება, ქველმოქმედება; (4) გარემოს დაცვა - პროდუქტების უსაფრთხოების დაცვა, ქიმიური ნარჩენების მართვა, გარემოს დაბინძურებისგან დაცვა, ბუნებრივი რესურსების დაზოგვა და მასალის გადამუშავების გზით მისი მრავალჯერადი გამოყენება; (5) პროდუქტების ხარისხზე ზრუნვა - პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინოვაციების დანერგვა (“R&D” – “Research and Development”); (6) მიმწოდებლების, პარტნიორების კონტროლი - საზღვარგარეთ მდებარე საწარმოებში შრომით პირობებზე, უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა.

3.3. კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა პრაქტიკაში

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების კუთხით საინტერესოა ინდოეთის მაგალითი. „კომპანიების შესახებ“ 2013 წლის აქტის 135-ე მუხლით¹⁵⁷, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის თეორია კანონის დონეზე განმტკიცდა და სავალდებულო გახდა. კორპორაციებს დაეკისრათ „კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის“ შექმნა, რომლის შემადგენლობაში არანაკლებ 3 დირექტორი უნდა შევიდეს, რომელთაგან ერთი დამოუკიდებელი დირექტორი

¹⁵⁵ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

¹⁵⁶ Sen S., Bhattacharya C.B., Does Doing Good Always Lead to Doing Better? Consumer Reactions to Corporate Social Responsibility, Vol. 38, No. 2, 2001, 226.

¹⁵⁷ The Companies Act, 2013, Section 135, <https://www.mca.gov.in/content/dam/mca/pdf/CompaniesAct2013.pdf> [27.06.2022]

უნდა იყოს. კომიტეტის მოვალეობებში შედის კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებთან დაკავშირებით დირექტორთა ბორდისთვის რეკომენდაციების მომზადება, კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება და გასაწევი ხარჯების დაანგარიშება. დირექტორთა ბორდი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს კომიტეტის რეკომენდაციები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. კანონის VII დანართი (ცხრილი)¹⁵⁸ ჩამოთვლის იმ სფეროებს, რომელთა გათვალისწინება კომპანიებს შეუძლიათ სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას. ესენია: შიმშილსა და სიღარიბესთან ბრძოლა, განათლების პოპულარიზაცია, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი მდგრადობისა და ეკოლოგიური ბალანსის უზრუნველყოფა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სპორტის განვითარება და სხვა.

მიუხედავად კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინის ხანგრძლივი ისტორიისა, ევროკავშირის მასშტაბით მისი ისტორია 2000 წლიდან იწყება. ევროპის საბჭოს ლისაბონის 2000 წლის მარტის დასკვნებში გვხვდება პირდაპირი მიმართვა კორპორაციებისადმი, ჩამოაყალიბონ სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიული კულტურა, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო პრაქტიკას უწყვეტი განათლების, თანაბარი შესაძლებლობების, სამუშაოს ორგანიზაციის, სოციალური ჩართულობისა და მდგრადი განვითარების მიზნებს.¹⁵⁹ ამასთან, კონკრეტული სამოქმედო გეგმა კორპორაციებისთვის შემუშავებული არ იყო და მათ ექსპერიმენტული გზით, სხვადასხვა საშუალების გამოყენებით უნდა მიეღწიათ დასახული მიზნებისთვის, ხოლო შემდეგ ჩაებარებინათ ანგარიში.¹⁶⁰

ევროკომისიის „მწვანე წიგნი“ ევროპაში კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებასთან დაკავშირებით¹⁶¹ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის მასშტაბით კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის დოქტრინის გავრცელებისა და პრაქტიკული გამოყენების საწყის წერტილად.

¹⁵⁸ The Companies Act, 2013, Schedule VII, <https://www.mca.gov.in/content/dam/mca/pdf/CompaniesAct2013.pdf> [27.06.2022]

¹⁵⁹ Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008, 206.

¹⁶⁰ იქვე, 204-205.

¹⁶¹ GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]

სწორედ ევროკომისიის მიერ შემუშავდა კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის განახლებული ცნება, რომელიც გულისხმობს „საწარმოების პასუხისმგებლობას საზოგადოებაზე მათ ზეგავლენაზე“.¹⁶²

სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ, აღსანიშნავია 2013/34/EU დირექტივის¹⁶³ მე-5 თავი, რომელიც აწესრიგებს ხელმძღვანელების ანგარიშებთან დაკავშირებულ საკითხებს და ცალკე გამოყოფს ამ ანგარიშების არაფინანსურ (არაეკონომიკურ) შემადგენელ ნაწილს. დირექტივის 19a მუხლის მიხედვით, დიდი საწარმოები¹⁶⁴, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა ფინანსური წლის განმავლობაში აღემატება 500-ს, ვალდებული არიან, მართვის ანგარიშში აღწერონ არაფინანსური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საწარმოს განვითარებას, მისი საქმიანობის ზეგავლენას გარემოზე, სოციალურ და შრომით საკითხებზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ევროკავშირის მასშტაბით კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის საკანონმდებლო მოწესრიგების ერთ-ერთი მცდელობაა 2022 წლის თებერვალში ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული დირექტივის პროექტი¹⁶⁵, რომელიც კორპორაციის ვალდებულებებს ახლებურად აყალიბებს. კერძოდ, დირექტივის პროექტით, კომპანიებს ევალება ადამიანის უფლებების დარღვევისა და გარემოზე უარყოფითი გავლენის მოხდენის ფაქტობრივი და პოტენციური შემთხვევების პრევენცია, დადგენა და რეაგირება, ასევე, შესაბამისი ზიანის ანაზღაურება დირექტივის პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის (მათ შორის, როცა დამრღვევი მხარე არა უშუალოდ კომპანიაა,

¹⁶² Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, A Renewed EU Strategy 2011-14 for Corporate Social Responsibility, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52011DC0681> [18.05.2022]

¹⁶³ Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02013L0034-20211221> [24.05.2022]

¹⁶⁴ საწარმოები, რომელთა აქციები ივაჭრება საფონდო ბირჟაზე, ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები და სხვ.

¹⁶⁵ Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Corporate Sustainability Due Diligence and amending Directive (EU) 2019/1937, Brussels, 23.02.2022, https://ec.europa.eu/info/sites/default/files/1_1_183885_prop_dir_susta_en.pdf [10.06.2022]

არამედ მისი ბიზნეს პარტნიორი ან მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერი მონაწილე¹⁶⁶). დირექტივის პროექტით, ახლებურად ჩამოყალიბებულია დირექტორის ფიდუციური ვალდებულებებიც. კერძოდ, 25-ე მუხლის მიხედვით, კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებისას, დირექტორებმა უნდა გაითვალისწინონ მათი გადაწყვეტილებების შესაბამისობა მდგრადი განვითარების პრინციპთან და მხედველობაში მიიღონ, მათ შორის, ადამიანის უფლებების, კლიმატის ცვლილებისა და გარემოზე გავლენის ასპექტები როგორც მოკლე-, ისე საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასკვნა

კორპორაციული მართვის თანამედროვე თეორია კორპორაციის მიზნის ახლებურ ხედვას გვთავაზობს: კორპორაციას ის აღარ განიხილავს როგორც აქციონერებისთვის ფინანსური მოგების გენერირების საშუალებას, არამედ მას სტეიკჰოლდერების ფართო ჯგუფის წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის და სოციალურ პასუხისმგებლობას აკისრებს.

უდავოა, რომ გლობალიზაციის პირობებში, ბიზნესის ფინანსური წარმატებულობა და გრძელვადიანი, სტაბილური განვითარება შეუძლებელია მისი ექსკლუზიურად აქციონერების სასარგებლოდ მართვის შემთხვევაში. სტეიკჰოლდერთა თეორია და „სტეიკჰოლდერების დემოკრატიის“ იდეა თანამედროვე კორპორაციული მართვის ტენდენციაა. განვითარებულ სახელმწიფოებში, კორპორაციული მართვის ცენტრში დგას არა მხოლოდ აქციონერი, არამედ კორპორაციასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ინდივიდი, პირთა ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია კარგი ან ცუდი გავლენა მოახდინოს კორპორაციაზე.

სტეიკჰოლდერების თეორია და კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა ძირეულად ცვლის როგორც კორპორაციის მიზანს, ისე მისი მართვის სისტემას და ხელმძღვანელების ვალდებულებებს. სტეიკჰოლდერების თეორია კორპორაციას განიხილავს, როგორც საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნით მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტს, რომლის მიერ შემოსავლის (მოგების)

¹⁶⁶ Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Corporate Sustainability Due Diligence and amending Directive (EU) 2019/1937, Article 22, Brussels, 23.02.2022, https://ec.europa.eu/info/sites/default/files/1_1_183885_prop_dir_susta_en.pdf [10.06.2022]

მიღება უნდა განიხილებოდეს უბრალოდ როგორც საქმიანობის ერთ-ერთი შედეგი, და არა თვითმიზანი ან მთავარი მამოძრავებელი ძალა.

სტეიკჰოლდერთა თეორია როგორც კორპორაციისთვის, ისე ამ კორპორაციით დაინტერესებული პირებისთვის სასარგებლოა: კორპორაცია უზრუნველყოფს სტეიკჰოლდერებს სამსახურით, ხელფასით, შეკვეთებით, საქონლითა და მომსახურებით, ხოლო სტეიკჰოლდერები არიან ფინანსური და ადამიანური კაპიტალის, ინფრასტრუქტურისა და კორპორაციის შემოსავლის წყარო. ამ მხარეებს შორის ნდობა განაპირობებს თანამედროვე კორპორაციების წარმატებულობას.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ სტეიკჰოლდერების თეორია არ ეწინააღმდეგება ათწლეულების განმავლობაში განვითარებულ აქციონერების თეორიას, არამედ ავსებს მას: მოგების მაქსიმიზაციას სტეიკჰოლდერების თეორია განმარტავს ფართოდ და მასში მოიაზრებს თითოეული სტეიკჰოლდერისთვის (და არა მხოლოდ აქციონერებისთვის) ღირებულების, სიკეთის შექმნას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტეიკჰოლდერების თეორია არ იძლევა „მზა რეცეპტს“, თუ როგორ, ან კონკრეტულ შემთხვევაში - ვის სასარგებლოდ უნდა იმართებოდეს კორპორაცია და ვისი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს დირექტორმა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, ეს თეორიის ნაკლოვანებაზე არ მეტყველებს. პირიქით, ის დირექტორებს აღჭურავს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებით (შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულებასაც კი აკისრებს), თითოეულ შემთხვევაში, რეალურ დროში შეაფასონ, თუ ვისი ინტერესები არის უპირატესი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს.

ნაშრომში ჩამოყალიბდა სტეიკჰოლდერების კლასიფიკაციისთვის დამახასიათებელი თეორიული საფუძვლები და კრიტერიუმები, ასევე შემოთავაზებულ იქნა კლასიფიკაციის რამდენიმე გზა. საბოლოოდ დადგინდა, რომ ამოსავალი წერტილი სტეიკჰოლდერების კლასიფიკაციისას სწორედ მათი და მათი მოთხოვნების ლეგიტიმურობაა. გარდა ამისა, კვლევისას გამოვლინდა სტეიკჰოლდერების თეორიის პრაქტიკული გამოყენების გზები (როგორცაა კოდეტერმინაცია) და საკანონმდებლო დონეზე ამ თეორიის რეგულირების არსებული მაგალითები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტეიკჰოლდერებზე ორიენტირებული კორპორაციული მართვის გარდა, განსაკუთრებით აქტუალურია კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, რომელიც კორპორაციის არსებობის ერთ-ერთ მიზნად სწორედ საზოგადოების კეთილდღეობას აღიარებს.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კორპორაცია, როგორც სამართალსუბიექტი, მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მისი ღირებულებათა სისტემა ემთხვევა საზოგადოების ძირითადი ნაწილის ღირებულებით სისტემას, ვინაიდან საწარმოს სამართლებრივი სტატუსის წყარო, საბოლოო ჯამში, სწორედ საზოგადოებაა.

აღსანიშნავია, რომ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა არ არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი იძულებითი ღონისძიება, არამედ დიდი საწარმოების უმრავლესობა თავადვე იჩენს სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ ინიციატივას. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ ინიციატივას არ აქვს სისტემური ხასიათი და, ზოგჯერ, ის მხოლოდ მარკეტინგული მიზნებისთვის გამოიყენება, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებით, აუცილებელია ეროვნულ დონეზე როგორც სტეიკჰოლდერების თეორიის, ისე კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობის მინიმალური საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, რათა მეწარმე სუბიექტებმა გაიაზრონ მათი საქმიანობის მიზნები, ხოლო დირექტორებს შეექმნათ სტეიკჰოლდერების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობის საფუძველი კანონმდებლობაში.

კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა, ძირითადად, სტეიკჰოლდერების მართვაში ჩართულობას და კორპორაციის საქველმოქმედო საქმიანობას მოიაზრებს. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობა პრაქტიკაში უამრავ გამოვლინებას ჰპოვებს და, საბოლოო ჯამში, კორპორაციისადმი სტეიკჰოლდერების ნდობის ხარისხს ამაღლებს, რაც კორპორაციის გრძელვადიანი ღირებულების ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. მაისურაძე დ., სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სამართლის მაგალითზე), საკორპორაციო სამართლის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, ხელმისაწვდომია: <https://tsu.ge/assets/media/files/8/Publications/sakorporacio-krebuli-1.pdf> [15.06.2022]
2. მახარობლიშვილი გ., კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, თბილისი, 2015.
3. ხიზანიშვილი ვ., „სოციალური საბაზრო ეკონომიკა (გერმანული მოდელი)“, გამომცემლობა „ლოი“, თბილისი, 2020.

უცხოენოვანი ლიტერატურა:

1. Bebchuk L.A., Tallarita R., The Illusory Promise of Stakeholder Governance, Cornell Law Review, Vol. 106, No. 91, 2020.
2. Blount J., Creating a Stakeholder Democracy under Existing Corporate Law, University of Pennsylvania Journal of Business Law, No. 18, 2016.
3. Caroll A.B., The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders, Business Horizons, Vol. 34, No. 4, July 1991.
4. Crane A., Ruebottom T., Stakeholder Theory and Social Identity: Rethinking Stakeholder Identification, Journal of Business Ethics, Supplement 1: Ethics, Corporations and Governance, Vol. 102, 2011.
5. Chatterji A.K., Richman B.D., Understanding the Corporate in Corporate Social Responsibility, Harvard Law & Policy Review, Vol. 2, No. 1, 2008.
6. Donaldson T., Preston L.E., The Stakeholder Theory of the Corporation: Concepts, Evidence, and Implications, The Academy of Management Review, Vol. 20, No. 1, January 1995.
7. Dooley M.P., Two Models of Corporate Governance, Business Lawyer (ABA), Vol. 47, No. 2, 1991.
8. Eisenberg M.A., An Overview of the Principles of Corporate Governance, Business Lawyer (ABA), Vol. 48, No. 4, August 1993.

9. Elson C.M., Goossen N.J., E. Merrick Dodd and the Rise and Fall of Corporate Stakeholder Theory, *Business Lawyer*, Vol. 72, No. 3, 2017.
10. Elson C.M., Ferrere C., Goossen N.J., The Bug at Volkswagen: Lessons in Co-Determination, Ownership, and Board Structure, *Journal of Applied Corporate Finance*, Vol. 27, No. 4, 2015.
11. Furubotn E. G., Codetermination and the Modern Theory of the Firm: A Property-Rights Analysis, *The Journal of Business*, Vol. 61, No. 2, April 1988.
12. Freeman R.E., Ending the So-Called “Friedman-Freeman” Debate, *Business Ethics Quarterly*, Vol. 18, No. 2, 2008.
13. Freeman R.E., Wicks A.C., Parmar B., Stakeholder Theory and “The Corporate Objective Revisited”, *Organization Science*, Vol.15, No. 3, May – June 2004.
14. Garriga E., Beyond Stakeholder Utility Function: Stakeholder Capability in the Value Creation Process, *Journal of Business Ethics*, Vol. 120, No. 4, April 2014.
15. Gadinis S., Miazad A., A Test of Stakeholder Capitalism, *Journal of Corporation Law*, Vol. 47, No. 1, 2021.
16. Hay T.H., The Shareholder’s Role in Corporate Social Responsibility, *University of Michigan Journal of Law Reform*, Vol. 5, No. 1, Fall 1971.
17. Jackson K.V., Towards a Stakeholder–Shareholder Theory of Corporate Governance: a Comparative Analysis, *Hastings Business Law Journal*, Vol. 7, No. 2, 2011.
18. Jensen M., Non-Rational Behavior, Value Conflicts, Stakeholder Theory, and Firm Behavior, *Business Ethics Quarterly*, Vol. 18, No. 2, 2008.
19. Kot S., Knowledge and Understanding of Corporate Social Responsibility, *Journal of Advanced Research in Law and Economics (JARLE)*, Vol. 5, No. 2, 2014.
20. Lehr A.K., Fiduciary Duties for a Globalized World: Stakeholder Theory Reconceived, *George Mason Law Review*, Vol. 27, No. 1, 2019.
21. Orts E.W., Strudler A., The Ethical and Environmental Limits of Stakeholder Theory, *Business Ethics Quarterly*, Vol. 12, No. 2, 2002.
22. Page R., Co-determination in Germany – A Beginner’s Guide, *Arbeitspapier*, No. 313, Hans-Böckler-Stiftung, Düsseldorf, 2018.
23. Phillips R., Freeman E., Wicks A.C., What Stakeholder Theory Is Not, *Business Ethics Quarterly*, Vol. 13, N4, 2003.
24. Pinto A.R., An Overview of United States Corporate Governance in Publicly Traded Corporations, *American Journal of Comparative Law Supplement*, No. 58, 2010.
25. Pitts J.W.II, Corporate Social Responsibility: Current Status and Future Evolution, *Rutgers Journal of Law and Public Policy*, Vol. 6, No. 2, 2009.

26. Rahim M.M., Raising Corporate Social Responsibility – The Legitimacy Approach, Macquarie Journal of Business Law, No. 9, 2012.
27. Reynolds S.J., Schultz F.C., Hekman D.R., Stakeholder Theory and Managerial Decision-Making: Constraints and Implications of Balancing Stakeholder Interests, Journal of Business Ethics, Vol. 64, No. 3, March 2006.
28. Santana A., Three Elements of Stakeholder Legitimacy, Journal of Business Ethics, Vol. 105, No. 2, January 2012.
29. Schutter O.D., Corporate Social Responsibility European Style, European Law Journal, Vol. 14, No. 2, March 2008.
30. Sen S., Bhattacharya C.B., Does Doing Good Always Lead to Doing Better? Consumer Reactions to Corporate Social Responsibility, Vol. 38, No. 2, 2001.
31. Stieb J.A., Assessing Freeman’s Stakeholder Theory, Journal of Business Ethics, Vol. 87, No. 3, July 2009.
32. Thrasyvoulou A., Corporate Social Responsibility: Here to Stay, Legal Issues Journal, Vol. 4, No. 1, January 2016.
33. Watson S., Corporate Law and Governance, New Zealand Law Review, No. 2, 2018.
34. Weng C.X., Inside or Outside the Corporate Law Box? Shareholder Primacy and Corporate Social Responsibility in China, European Business Organization Law Review, No. 18, 2017.
35. Wood D.J., Corporate Responsibility and Stakeholder Theory: Challenging the Neoclassical Paradigm, Business Ethics Quarterly, Vol. 18, No. 2, 2008.
36. Поєдинок В., «Корпоративна Соціальна Відповідальність» та «Бізнес і Права Людини»: Співвідношення Концепцій, Право України, No. 8, 2019.

ნორმატიული მასალა, დასკვნები, რეკომენდაციები:

1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 2 აგვისტო 2021 წ., N875-Vრს-Хმპ.
2. Companies Act, 2006, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/section/172> [28.05.2022]
3. The Companies Act, 2013, <https://www.mca.gov.in/content/dam/mca/pdf/CompaniesAct2013.pdf> [27.06.2022]
4. Betriebsverfassungsgesetz, <https://www.gesetze-im-internet.de/betrvg/> [05.05.2022]

5. Gesetz über die Drittelbeteiligung der Arbeitnehmer im Aufsichtsrat (Drittelbeteiligungsgesetz - DrittelbG), <https://www.gesetze-im-internet.de/drittelbg/BJNR097410004.html> [01.06.2022]
6. Mitbestimmungsgesetz, <https://www.gesetze-im-internet.de/mitbestg/BJNR011530976.html> [05.05.2022]
7. Directive 2013/34/EU of the European Parliament and of the Council of 26 June 2013 on the annual financial statements, consolidated financial statements and related reports of certain types of undertakings, amending Directive 2006/43/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02013L0034-20211221> [24.05.2022]
8. G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing, Paris, 2015, ხელმისაწვდომია: https://read.oecd-ilibrary.org/governance/g20-oecd-principles-of-corporate-governance-2015_9789264236882-en#page4 [05.06.2022]
9. GREEN PAPER: Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility, Commission of the European Communities, Brussels, 18 July 2001, https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/DOC_01_9 [12.05.2022]
10. Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Corporate Sustainability Due Diligence and amending Directive (EU) 2019/1937, Brussels, 23.02.2022, https://ec.europa.eu/info/sites/default/files/1_1_183885_prop_dir_susta_en.pdf [10.06.2022]
11. Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, A Renewed EU Strategy 2011-14 for Corporate Social Responsibility, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52011DC0681> [18.05.2022]